პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 155 (18697) ოთხშაბათი, 6 ივლისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ეს დღეები სოფლად

ვალდებულებათა გადამეტებით, ზარალის ასანაზღაურებლად

როგორც ცნობილია, კახეთისა და ქართლის რაიონებს თავს დაატყდა კოკისპირული წვიმა, წყალდიდობა, სეტყვა და გრიგალი. სტიქიამ ზოგან უმოწყალოდ გაანადგურა გლეხკაცის ნაშრომ-ნაამაგარი. დიდი ზარალის ასანაზღაურებლად დასავლეთ საქართველოს მშრომელებმა შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს, რათა უთუოდ შეასრულონ ვალდებულებანი. ამ რაიონებიდან რედაქციაში ყოველდღიურად მოდის ცნობები, რომლებშიც დიდი შრომის შედეგებსა და წლის ბოლომდე დარჩენილი დროის საქმიანობებზეა ლაპარაკი.

საქართველოს კომპარტიის **მახარაძის** რაიკომის პირველი მდივანი ო. თენეიშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ქღენტი და აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ნ. ტაკაძე გვწერენ: ამასთან დაკავშირებით, რომ სტიქიურმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების ზეგებს, ბაღებსა და ნათესებს, მახარაძის რაიონის მშრომელები თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად, რესპუბლიკის ღირსების საქმედ და საერთო ინტერესებისათვის აუცილებლად მიიჩნევენ პრაქტიკული მხარდაჭერა აღმოუჩინონ ქართლ-კახეთის რაიონების მშრომელებს. ამასთან იკისრეს ახალი, გადიდებული ვალდებულებანი — ყველა რეზერვის მაქსიმალური ამოქმედებით უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის საგეგმო დავალებათა დიდი გადაჭარბებით შესრულება. რაიონის მრეწველობის მუშაკებმაც გადაწყვიტეს 1982 წელთან შედარებით 10 პროცენტით მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვან.

საქართველოს კომპარტიის **ზუგდიდის** რაიკომის პირველი მდივანი ი. თოდუა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. კუტალია გვატყობინებენ, რომ რაიონის მშრომელებმა ქართლ-კახეთის რაიონებისათვის სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გადაწყვიტეს წლეულს გეგმავალდებულებით გათვალისწინებული 72.500 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 73.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 8 ათასი ტონის ნაცვლად 9 ათასი ტონა ხილი. გარდა ამისა, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 1220 ტონა სმბინდი, 1200 ტონა ციტრუსი, 750 ათასი ცალი კვერცხი. რაიონის მშრომელების სიტყვა და საქმე ერთი იქნება.

პასუხისმგებლობის გრძნობა

საბჭოთა ადამიანის იდეურობა, მისი ორგანიზებულობა და შეგნება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სიძლიერის, სიმკვიდრის, დინამიზმის მთავარი წყაროა. ჩვენი პარტია დღენიადაგ ზრუნავს და იღვწის იმისათვის, რომ საბჭოთის მშრომელი კაცი მუდამ და ყველგან უაღრესად დიდ დაინტერესებას იჩენდეს საზოგადოებრივი საქმით, გრძნობდეს პასუხისმგებლობას მისთვის. „საზოგადოება — ადამიანს, ადამიანი — საზოგადოებას!" — ასეთია ჩვენში საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების ლენინური ფორმულა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმმა ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით გვიჩვენა, რომ თითოეული მშრომელისათვის ღრმა იდეური რწმენისა და მოქალაქეობრიობის ჩანერგვა ჩვენს პარტიას კომუნისტური მშენებლობის პროცესის მეტად დიდმნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მიაჩნია. პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა:

„ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ რაოდენ სეროზული ზიანი მოაქვს ამ მუშაობის ხარვეზებს, ადამიანთა მოუმწიფებელ შეგნებას, როცა ამას ვხედავთ ხოლმე. და პირიქით, ჩვენ უკეთ ფიქრგად ვგრძნობთ, რაოდენ მატულობს წინსვლის ტემპი, როცა იდეოლოგიური მუშაობა უფრო ეფექტიანი ხდება, როცა მასები უკეთ ერკვევიან პარტიის პოლიტიკაში, აღიქვამენ მას საკუთარ, ხალხის საარსებო ინტერესების შესაბამის პოლიტიკად".

დიახ, ჩვენი შრომისა და ცხოვრების ყოველდღიური პრაქტიკა თვალნათლივ ადასტურებს, თუ რა პასუხისმგებლობით, რაოდენ ინიციატივიანად ირჯება შეგნებული, რწმენაჩანერგილი კაცი, როგორ ადვილად პოულობს იგი თავის ჭეშმარიტ ადგილს ქვეყნის კეთილდღეობისათვის შებრძოლთა საერთო მწყობრში.

მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობა ლენინური, პარტიული სტილის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. დღეს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, რომელსაც გრანდიოზული მასშტაბი, წამოჭრილი პრობლემების მრავალფეროვნება და სირთულე ახასიათებს, როცა ჩვენი გეგმების წარმატება განსაკუთრებულ ორგანიზებულობას და დისციპლინას მოითხოვს, კიდევ უფრო აქტუალური ხდება ვ. ი. ლენინის მითითება, რომ „გარკვეული პირი მთლიანად აგებდეს პასუხს გარკვეული მუშაობისათვის".

საქმე ეხება იმას, რომ პარტიული ორგანიზაციები მუდამდღე ყოველნაირად ავითარებდნენ კადრების, თითოეული კომუნისტის აქტიურობას, ამაღლებდნენ მის პერსონალურ პასუხისმგებლობას დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

მეტად მრავალფეროვანია ადამიანთა პასუხისმგებლობის ამაღლების, მათდამი მომთხოვნელობის გაძლიერების ფორმები და მეთოდები, მაგრამ არსი ერთია. უკანასკნელ ხანს, როგორც პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, ასევე პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროების სხდომებზე, გონივრულად იყენებენ ხელმძღვანელი მუშაკების, ცალკეული კომუნისტების ანგარიშების მოსმენის პრაქტიკას. შრომითს კოლექტივებში მთელი რიგი პრობლემების უკეთ გადაწყვეტის მიზნით პარტორგანიზაციათა საუკეთესო დასაყრდენი არიან ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიები. მუშაობა უფრო შინაარსიანი და ნაყოფიერია სწორედ იქ, სადაც პრინციპული და ავტორიტეტიანი კომუნისტები ამ კომისიებში გაერთიანებული არიან საეციალობის მიხედვითაც.

განსაკუთრებით უნდა მოვკიდოთო სამეურნეო ხელმძღვანელებს. თუკი მუშაკი ურიგდება ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორებისათვის ზრუნვას სამართლიანი კრიტიკის წინააღმდეგ ბრძოლით ცვლის, კარგავს თავისი საქმიანობის ობიექტური შეფასების უნარს, სწყდება მასებს, თავის გარშემო ამრავლებს მლიქნელებსა და მამებლებს, მაშინ იგი, როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე ითქვა, ხელმძღვანელი ვერ იქნება.

კადრების, კომუნისტების პერსონალური პასუხისმგებლობის ზრდის შინაარსიან ფორმებს იყენებს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი. წლეულს, როცა საოლქო კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე პირველი კვარტალის სამეურნეო შედეგებს განიხილავდნენ, სპეციალურად დაეთმო ტრიბუნა ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელებს — ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორს ა. კეკუას, საქკოოპმშენის № 6 სამმართველოს უფროსს ო. ფალავას, მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორს ვ. დოლიძეს. თუმცა მათი გამოსვლები გამამართლებელი მიზეზების ძიებას უფრო პგავდა, ვიდრე საქმის ობიექტური გაანალიზების სურვილს, სამაგიეროდ სამსჯავრო იყო პრინციპული და მკაცრი: სხდომის მონაწილეებმა გაკიცხეს თავის მართლების პოზიცია, უჩვენეს ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელებს საქმის გაუმჯობესების ჭეშმარიტი გზა.

პასუხისმგებლობის ჩანერგვის ამ და სხვა საინტერესო ფორმებს აქტიურად იყენებენ სხვაგანაც. მაგალითად, შარშან მარტო აფხაზეთის პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროების სხდომებზე 70-ზე მეტი მუშაკის ანგარიში მოისმინეს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ დამკვიდრდა პარტიის გალისა და გუდაუთის რაიკომებში.

ყველგან, ყველა შრომითს კოლექტივში უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომლის დროს ადამიანები არ იქნებიან მოვლენათა გულარხეინი მჭვრეტელნი, ისინი შეეცდებიან არა მარტო თავიანთი საქმე აკეთონ კარგად და პატიოსნად, ამასთან იგივე მოსთხოვონ სხვებსაც.

სწორედ ასეთი ატმოსფეროს დასამკვიდრებლად ბევრ სასარგებლო ორგანიზატორულ და პოლიტიკურ ღონისძიებებს ახორციელებენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის, ზუგდიდის რაიონის ინგირის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტები, მთელი რიგი სხვა პარტიული ორგანიზაციები. მუშაობა ამ მხრივ განსაკუთრებით გააქტიურდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების პირველი რესპუბლიკური კრების და თბილისში გამართული საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შემდეგ. მაგალითად, შუახევის რაიონის დღვანის კოლმეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი ნადია ფუტკარაძე) შეძლო, რომ წარმოების გადამწყვეტ უბნებს ყველაზე გამოცდილი და უნარიანი კომუნისტები ჩასდგომოდნენ სათავეში. პარტიული ორგანიზაცია აქტიურად იყენებს არა მარტო სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ბრიგადირებისა და მერგოლურების, სხვა საწარმოო უბნების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლების მრავალფეროვან ფორმებს, იმასაც ცდილობს, რომ მოვალეობის მაღალი შეგნებით აღიზარდოს ყველა კოლმეურნე. აქ ჩამოყალიბეს შესრულების შემოწმებისა და კონტროლის მწყობრი სისტემა. კომუნისტი დავალებას რომ მიიღებს, იცის, აუცილებლად შეამოწმებენ მის შესრულებას, მოჰკითხავენ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრგან ასეთი მომკითხველობა არ ჩანს. მაგალითად, მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა მხოლოდ 69 პროცენტით შეასრულა „საქაურორტმშენის" ონის სარემონტო-სამშენებლო უბანმა. ასეთი ჩამორჩენა კი, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა, თუ პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ნ. ლობჟანიძე) ადმინისტრაციასთან ერთად მეტად იზრუნებდა თანამშრომელთა პასუხისმგებლობის გადიდებისათვის. აქ, როგორც ფაქტები მოწმობს, კომუნისტები არ ასრულებენ მიცემულ დავალებებს, არც პარტიული ორგანიზაცია ინუხებს თავს შემოწმებით. შემოწმების გარეშე კი, ერთი რუსული ანდაზისა არ იყოს, კარგი ადამიანებიც ფუჭდებიან.

პასუხისმგებლობის მეტად მნიშვნელოვანი სახემია მიღებული გადაწყვეტილებებისადმი დამოკიდებულება. სამწუხაროდ, ბევრი გადაწყვეტილება ზოგჯერ მთლიანად არ სრულდება, ამიტომ იძულებული არიან ერთსა და იმავე საკითხს რამდენჯერმე დაუბრუნდნენ. ეს კი იმიტომ ხდება, რომ დადგენილებას მუდამ როდი მოჰყვება ხოლმე მოქმედება, დასახული ღონისძიებები არ მტკიცდება ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით.

დიდი, უსასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სახოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უპასუხისმგებლობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. საამისოდ განსაკუთრებით სასარგებლო და გავლენიანია მუშათა და კოლმეურნეთა კრებები, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, სხვადასხვაგვარი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

სულ ახლახან სსრ კავშირის მეათე მონვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ მიიღო კანონი: „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ". როგორც სესიაზე აღინიშნა, შრომითი კოლექტივი ერთ-ერთი მთავარი რგოლია ჩვენი აღზრდის მთელ სისტემაში. მისი ამოცანაა არა მარტო მთლიანად გამოიყენონ ტექნიკის შესაძლებლობანი, კადრების კვალიფიკაცია, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები და მასების ენთუზიაზმი, ამასთან თითოეული მშრომელი აღზარდონ მოვალეობის ღრმა შეგნებით, ჩაუნერგონ მათ კოლექტივიზმის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის გრძნობა. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა მიაღწიონ, რომ ყველა შრომითი კოლექტივი, როგორც ერთი კაცი, ისე იბრძოდეს დისციპლინისა და წესრიგის განსამტკიცებლად, გულგრილობისა და უყაირათობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების, ლოთობისა და ხულიგნობის, მუქთახორობის, თვალის ახვევისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

სადაც ასეთი ვითარება არ არის, სადაც სათანადო პასუხისმგებლობასა და მომთხოვნელობას არ იჩენენ, იქ უპატიოსნოებს თავიანთი ბინძური საქმის კეთების ასპარეზი ეძლევათ. სწორედ შრომითი კოლექტივის არაერთსულოვნებით, გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის წაყრუებით მოხდა დანაშაული თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობაში, სადაც მეცხოველეობის ფერმებში ნამატს შემოსავალში არ იღებდნენ და ამ გზით დანაკლისებს ფარავდნენ. პარტიის რაიკომის ბიურომ მკაცრად იმსჯელა ამ ფაქტზე. დამნაშავეთა საკითხს რაიონის პროკურატურა სწავლობს.

დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით კადრების აღზრდა საჭიროა არა მარტო იქ, სადაც მატერიალური დოვლათი იქმნება, არამედ არასანარმოო სფეროშიც. სახელმწიფო დანესებულების თანამშრომლის ბიუროკრატიულმა დამოკიდებულებამ, ტრანსპორტისა და სატელეფონო ქსელის უხეირო მუშაობამ, გამყიდველის უხეშმა მიმართვამ შეიძლება გუნება-განწყობილება გაუფუჭოს ასობით, ათასობით მშრომელს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია: „მარჯვედ და შემოქმედებითად უნდა ვუწევდეთ პროპაგანდას საბჭოთა ცხოვრების წესს, სოციალიზმის ფუნდამენტურ ღირებულებებს. მხარი უნდა დავუჭიროთ ყოველივე მონინავეს საზოგადოებრივ პრაქტიკაში, დავამკვიდროთ და მკაფიოდ გავაშუქოთ მშრომელი მასების ცხოვრების ახალი თვისება, რომელიც შეიცავს კოლექტივიზმსა და ამხანაგობას, ზნეობრივ სიჯანსაღესა და სოციალურ ოპტიმიზმს, ყოველი ადამიანის ხვალინდელი დღის რწმენას, შრომისა და მოხმარების, ქცევისა და ყოფა-ცხოვრების მაღალ კულტურას".

ყოველივე ეს პასუხისმგებლობის ჩანერგვას ემსახურება.

თავის მხრივ, პასუხისმგებლობის გრძნობა დიდი მორალური ძალაა, რომელიც აძლევს ადამიანს სოციალურ აქტიურობას, უღვიძებს სურვილს, რომ უკეთ იშრომოს, მთელი უნარით ემსახუროს თავის სამშობლოს.

სურათზე: დასკვნითი საუბრის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ი. ვ. ანდროპოვი ესაუბრა ჰ. კოლს

5 **ივლისს** კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ვ. ანდროპოვი შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ჰ. კოლს.

ი. ვ. ანდროპოვმა და ჰ. კოლმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მიეცათ შესაძლებლობა პირადად გასცნობოდნენ ერთმანეთს და გულახდილად გაეზიარებინათ აზრი საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობისა და საერთაშორისო ვითარების, განსაკუთრებით ევროპაში შექმნილი ვითარების მთელ რიგ პრინციპულ საკითხებზე.

ი. ვ. ანდროპოვი მიესალმა კანცლერ ჰ. კოლისა და ვიცე-კანცლერ ჰ.-დ. გენშერის ჩამოსვლას სსრ კავშირში. საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით აღნიშნა მან, უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ურთიერთობას. 1970 წელს მოსკოვის ხელშეკრულების დადების დროიდან საბჭოთა კავშირმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ განვლეს ერთმანეთთან კეთილი ურთიერთობის განვითარების მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი გზა. საბჭოთა ხელმძღვანელობა მხარს უჭერს იმას, რომ ეს ურთიერთობა კვლავაც ვითარდებოდეს დადებითი მიმართულებით, რაც შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, მთელი ევროპის ინტერესებსა და საყოველთაო მშვიდობის საქმეს.

ამასთან დაკავშირებით, თქვა ი. ვ. ანდროპოვმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკითხს ევროპაში გამალებული ბირთვული შეიარაღების ახალი ტურის თავიდან აცილების შესახებ, რომელსაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს. საქმე ეხება ნატოს ბლოკის ცდას რადიკალურად შეცვალოს ევროპაში სტრატეგიული სიტუაცია სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების საარსებო ინტერესების საზიანოდ. გათვალისწინებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორია გადაკეთონ საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეებისათვის დამიზნებული პირველი დარტყმის ამერიკული ბირთვული რაკეტების სასტარტო მოედნად. არსებითად ეს ნიშნავს სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანიის მიწა-წყლიდან ომის გაჩაღების საფრთხის აღორძინებას.

საბჭოთა კავშირი დათანხმდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებას ევროპაში ბირთვული იარაღის საკითხზე იმ პულწრფელი სურვილით, რომ მიაღწიონ დადებითს შედეგებს. ჩვენ ვისწრაფვით მკვეთრად შევამციროთ ევროპაში ბირთვული კონფრონტაციის დონე — თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის ზუსტი დაცვის პირობებში. სსრ კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გათვალისწინოს მოლაპარაკებაზე თავისი პარტნიორების მოსაზრებანი, მიაღწიოს ურთიერთმისაღებ შეთანხმებას, რომელიც გათვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ამოიწურება იმ მოთხოვნით, რომ საბჭოთა კავშირი ცალმხრივ განიარაღდეს, ამასთან ხალუხებელი დარჩეს ნატოს ქვეყნების განკარგულებაში არსებული საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის არსენალები, ჩვენ არ შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ, კერძოდ, ის რომ ინგლისსა და საფრანგეთს ჩვენს წინააღმდეგ მომართული აქვთ ამ კლასის მნიშვნელოვანი რაოდენობის ბირთვული იარაღი.

ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს მონოპოლიური მდგომარეობა დაიკავოს და სსრ კავშირის სიაზლოვეს განალაგოს ბირთვული იარაღი, რომელსაც შეუძლია დაზიანოს ობიექტები ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში, მაშინ როდესაც, სსრ კავშირს არა აქვს და რა თქმა უნდა, ამერიკელთა ლოგიკით, არ უნდა ჰქონდეს შესაფერი პოტენციალი სადმე ამერიკის შეერთებული შტატების ახლოს.

ნატოს ქვეყნების პოლიტიკოსები ნიადაგ იმეორებენ, თითქოს სსრ კავშირი ევროპაში რაიმეს დათმობს დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების შეტანის შემდეგ. ეს დიდი და საშიში შეცდომაა. თუკი საქმე მივა განლაგებამდე, ჩვენ კი არ დავთმობთ საკუთარ პოზიციებს, კი არ შევანელებთ ჩვენს თავდაცვას, არამედ განვაზორციელებთ დროულ და ეფექტიან საპასუხო ღონისძიებებს, რომელიც დაიცავს სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების უშიშროებას.

საბჭოთა კავშირს უძნელდება იმის გაგება, თქვა ი. ვ. ანდროპოვმა, რის მოგების იმედი აქვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას თავის ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტების განლაგების, ჩვენი საპასუხო ღონისძიებების, ყველა სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღით ევროპის ცენტრის ავსების შედეგად.

ახლანდელ ვითარებაში საბჭოთა საშუალო სიშორის რაკეტები ევროპის ზონაში — ეს მხოლოდ ამ ზონაში ნატოს ქვეყნების საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალებათა საპირწონეა. ისინი არ არის მომართული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, მაგრამ თუ დასავლეთ გერმანიის მიწა-წყალზე განალაგებენ ამერიკულ რაკეტებს, სიტუაცია შეიცვლება. ომის საშიშროება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის ბევრად გაიზრდება. გარდაუვალი იქნება ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის გარკვეული გართულებანიც. რაც შეეხება გერმანელებს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მათ როგორც ახლახან ვიღაცამ თქვა, მოუწევთ ერთმანეთს უყურონ რაკეტების ხშირი მესრიდან.

განა უმჯობესი არ არის, ვისაგებლოთ შესაძლებლობით, სანამ იგი არსებობს, მივიღწიოთ ნამდვილად პატიოსან, ორივე მხარის კანონიერი ინტერესების შესაბამის შეთანხმებას, რათა ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის ზრდის საცვლად მნიშვნელოვნად შევამციროთ იგი და ამით ბევრად გავაჯანსაღოთ ვითარება ჩვენს კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში? სანამ განლაგება არ დაუწყიათ, შეთანხმება კიდევ შესაძლებელია.

საბჭოთა კავშირში ყურადღება მიაპყრეს კანცლერ კოლს განცხადებას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავის ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტების განლაგების, ჩვენი საპასუხო ღონისძიებების, ყველა სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღით ევროპის ცენტრის ავსების შედეგად.

საუბრის მონაწილეებმა აღნიშნეს მისი გულახდილი და საქმიანი ხასიათი და დათქვეს, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მოსკოვის მოლაპარაკების დროს განხილული საკითხები მხარეებს შორის აზრთა შემდგომი გაზიარების საგანი გახდება. (საკდესი).

მოლაპარაკება დამთავრდა

5 **ივლისს** ნაშუადღევს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერის ჰ. კოლის დასკვნითი საუბარი. საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და ფედერალური კანცლერის მოადგილე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ.-დ. გენშერი.

მხარეებმა განაგრძეს აზრთა გაზიარება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის პრინციპულ საკითხებზე იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლოა შემდგომ განვითარდეს იგი მოსკოვის ხელშეკრულების საფუძველზე ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, ევროპისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის.

ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, რომ მოსკოვის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, სსრ კავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წინა წლების მანძილზე საერთოდ ახერხებდნენ გამოენახათ საერთო ენა, ეთვალთ წამოჭრილი პრობლემების ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტის გზები. ეს გამოცდილება ჩვენი ერთობლივი კუთვნილებაა. საჭიროა, რომ იგი არ დაიკარგოს ახლანდელ გართულებულ საერთაშორისო ვითარებაში.

დასავლეთ გერმანიის მხარემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი მთავრობა მხარს უჭერს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებას მოსკოვის ხელშეკრულებისა და ორი ქვეყნის მიერ ხელმოწერილი მომდევნო შეთანხმებების ბაზაზე.

განიხილეს აგრეთვე სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლო შემდგომი განვითარების მთელი რიგი კონკრეტული ასპექტები. მხარეები შეთანხმდნენ, განაგრძონ მოლაპარაკება ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც მანამდე უკვე ყოფილა მათ შორის აზრთა გაზიარების საგანი.

შეეხნენ აგრეთვე მთელ რიგ სხვა საკითხებს, კერძოდ, ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებას.

საუბრის მონაწილეებმა აღნიშნეს მისი გულახდილი და საქმიანი ხასიათი და დათქვეს, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მოსკოვის მოლაპარაკების დროს განხილული საკითხები მხარეებს შორის აზრთა შემდგომი გაზიარების საგანი გახდება. (საკდესი).

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმართა პატივსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰ. კოლისა და ფედერალური კანცლერის მოადგილის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰ.-დ. გენშერის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ნ. ა. ტიხონოვი, ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი, სხვა ოფიციალური პირნი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა სადილზე სიტყვა წარმოთქვა.

ნ. ა. ტიხონოვის სიტყვა

მივესალმებით თქვენს ვიზიტს, ბატონო კანცლერო, თქვა ნ. ა. ტიხონოვმა, იგი შესაძლებლობას გვაძლევს განვაგრძოთ პოლიტიკური დიალოგი.

მოსკოვის ისტორიული ხელშეკრულების დადების შემდეგ გავლილი დროის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს ხალხებს შორის ნდობის განსამტკიცებლად, ორივე მხარისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული და სხვაგვარი ურთიერთობის განსავითარებლად. დაიდო შეთანხმებანი, რომელთა მოქმედება თვით ახლანდელი საუკუნის ფარგლებს სცილდება. სსრ კავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მრავალგზის თანამოქმედებდნენ საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის დამკვიდრებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

ერთი სიტყვით, წარუვალი მწარე წარსულის მიუხედავად, — მე მეორე მსოფლიო ომზე მოგახსენებთ, — ჩვენ შევძელით შეგვეძინა ურთიერთობის პოზიტიური განვითარების გამოცდილება. ვფიქრობ, საჭიროა არა მარტო შევინარჩუნოთ, არამედ ვამრავლოთ კიდეც იგი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, მისი ხალხისა და მთავრობისადმი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას განსაზღვრავს სურვილი განვავითაროთ ყოველმხრივი თანამშრომლობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ჩრდილოატლანტიკური ბლოკის ლოიალური მონაწილეა. ჩვენ სულაც არ ვაპირებთ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას გავუფუჭოთ ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან ან მის სხვა მოკავშირეებთან, ჩვენ გვყოფს მსოფლმხედველობანი, მაგრამ იმის წინააღმდეგნი ვართ, რომ იდეოლოგიათა განსხვავებას თან სდევდეს შეურიგებლობა საბჭოთა საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ვეძებოთ იმ ქვეყნებს შორის თანხმობის გზები, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ სისტემას ეკუთვნიან. ეს, თუ გნებავთ, ჩვენი ბირთვული საუკუნის იმპერატივია.

(დასასრული მე-2 გვ.).

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ვოიცეხ იარუზელსკის

ძვირფასო ამხანაგო ვოიცეხ იარუზელსკი!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ, ძმურად მოგესალმებიან და გულითადად გილოცავენ თქვენ, სსრ კავშირთან ბეჭედდასმული ურთიერთობის ერთგულ პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ურღვევი მეგობრობის მტკიცე მომხრეს თქვენი სამოცი წლისთავის დღეს.

საბჭოთა კავშირში თქვენ კარგად გიცნობენ, როგორც პიტერიული ფაშიზმის წინააღმდეგ მედგარ მებრძოლს, რომელმაც განვლეთ პოლონეთის ჯარის I არმიის საბრძოლო გზა, როგორც სახალხო ხელისუფლების აქტიურ მშენებელს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანეთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნაში.

პოლონეთისათვის ძნელ პერიოდში, როცა საფრთხე შეექმნა თქვენს ქვეყანაში სოციალისტურ მონაპოვრებს, თქვენ, როგორც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მეთაურობთ მის ბრძოლას სოციალიზმის დასაცავად, კრიზისის

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმართა პატივსაცემად

(დასასრული)

ჩვენი აზრით, ვერც ერთი ევროპული სახელმწიფო ვერ იქნება გულგრილი ჩვენი კონტინენტის ბედისადმი. და ევროპელებს ბევრი რამ აქვთ სათქმელი ამასთან დაკავშირებით ერთურთისათვის. ჩვენ ამის მომხრენი ვართ, რომ ჩვენი ქვეყნები მოწინააღმდეგენი კი არა, პარტნიორები იყვნენ არა მარტო ეკონომიკასა და კულტურაში, არამედ უშიშროების საკითხებშიც.

დღეს ჩვენ მოლაპარაკებას შევუდექით. ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოლაპარაკება შინაარსის ხასიათს ატარებს, დასტურებს სხვადასხვა დარგში ორმხრივი ხელსაყრელი ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობას.

სასარგებლოდ მიმაჩნია აგრეთვე მოლაპარაკებაზე გამართული საერთაშორისო პრობლემების განხილვა, თუმცა ზოგიერთ მათგანს, მათ შორის, დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, ჩვენ სხვადასხვაგვარად ვუყურებთ. იმედი მაქვს, რომ თქვენ, ბატონო ფედერალურო კანცლერო, ნაწყენი არ დამრჩებით, თუ უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ ჩვენს შეხედულებებს.

საერთაშორისო ვითარება ძალზე დაიძაბა. ამას ახლა ყველა აღიარებს. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ძალისმიერი პოლიტიკის მომხრენი ემზადებიან მაქსიმალური სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობის რაიონად გადაქცევნ ევროპა.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი ყენევის მოლაპარაკებაზე ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მიაღწიოს სამართლიან, ორმხრივ-მისაღებ შეთანხმებას ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის შემცირების შესახებ და არაერთგზის გადაუდგამს დიდი ნაბიჯი მეორე მხარის სასარგებლოდ, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს თავი ისე მოგვაჩვენოს, თითქოს მონაწილეობდეს მოლაპარაკებაში. იგი აყენებს სსრ კავშირის ცალმხრივი განიარაღების აშკარად მიუღებელ მოთხოვნებს და ამასობაში ემზადება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებისათვის.

მაგრამ ამ გეგმის რეალიზაციას გარდაუვალად მოჰყვება ვითარების მკვეთრი გაუარესება ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ამას ნათლად უნდა ვხედავდეთ.

ევროპაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამხედრო ძალების დაახლოებითი წონასწორობა, რომლის შეოხებითაც მრავალი წლის მანძილზე ძლებდა (და არცთუ ცუდად) მშვიდობა კონტინენტზე, ვითარდებოდა კეთილმეზობლური ურთიერთობა ევროპის ქვეყნებს შორის, მკვეთრად დარღვეული აღმოჩნდებოდა. საფრთხე მით უფრო აშკარაა, რომ საქმე ეხება ამერიკელი პირველი დარტყმის იარაღის გაწლაგებას ისეთ პირობებში, როდესაც ვაშინგტონში პროპაგანდას უწევენ აზრს, რომ შესაძლებელია და ლამის მართლზომიერიც არის „შეზღუდული“ ბირთვული ომი — როგორც ეტყობა, ევროპით შეზღუდული.

და ბოლოს, ყოველივე ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ომისშემდგომი ისტორიის მანძილზე პირველად კვლავ გერმანიის მიწა-წყლიდან შეექმნება ომის საფრთხე საბჭოთა ხალხს. არ უნდა იყოს საჭირო იმის თქმა, თუ რა იქნებოდა ეს ჩვენთვის.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამას ჩვენ ყენევის მოლაპარაკებაზე დათმობებით როდი ვუპასუხებთ, როგორც ხანდახან ამტკიცებენ ხოლმე ზოგიერთი დასავლელი მოღვაწე. ჩვენ და ჩვენი მოკავშირეები ვუპასუხებთ ჩვენი უშიშროების განმტკიცების დამატებითი ღონისძიებების დაუყოვნებლივ განხორციელებით, და გავაფრთხილებთ ნატოს ახალ საბჭდერო პოტენციალს. ამის შედეგად წონასწორობა აღდგება,— მაგრამ უფრო მაღალ, მშვიდობის შენარჩუნებისათვის უფრო საშიშ დონეზე. და ამის გამო პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ნატოს ახლანდელი გეგმების ავტორებსა და შემსრულებლებს.

განა უმჯობესი არ არის მოვალეპარაკოთ ორივე მხარის ბირთვული არსენალების შემცირების შესახებ მათი ზრდის ნაცვლად? საამისო შესაძლებლობა ყენევაში ჯერ კიდევ გვაქვს — და მოვუფრთხილოთ ვისარგებლოთ ამ შესაძლებლობით, სანამ დროა. ჩვენ ევროპაში ორივე სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების სრული თანასწორობის მომხრენი ვართ, თანასწორობისა, როგორც რაკეტების, ისე თვითმფრინავების და საბრძოლო მუზტების მიხედვით. თანაც, რაც შეიძლება უფრო დაბალ დონეზე. თუ ამით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ, მე ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია მოვრიგდეთ. და ჩვენ მოვუწოდებთ ნატოს ქვეყნებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ხელი შეუწყონ იმას, რომ ასეთი მორიგების შესაძლებლობა არ დავკარგოთ.

ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა წამოაყენეს ბევრი კონკრეტული წინადადება, რომლებსაც დაძაბულობის შენელება მოჰყვებოდა. სულ ცოტა ხნის წინათ მოსკოვის განცხადებაში დადასტურდა ჩვენი საერთო მზადყოფნა დავიწყოთ ორივე დაჯგუფების მონაწილეთა შორის ორმხრივი ძალის გამოუყენებლობისა და შვიდდიპლომატიური ურთიერთობის განგრძობის ხელშეკრულების იდეის პრაქტიკული განხილვა. მაგრამ აგერ უკვე ნახევარი წელიწადია ნატო დუმს, თუმცა ასეთი ხელშეკრულება არავის ავნებდა, და როგორც ევროპის, ისე მთელი მსოფლიოს მშვიდობა კიდევ უფრო სამყარო იქნებოდა.

როცა არსებობს პოლიტიკური ნება, როცა პატივს სცემენ ერთურთის კანონიერ ინტერესებს, მაშინ შესაძლებელია მორიგება. ამის დასტური გახლავთ კარგი ამბები მადრიდიდან, სადაც თანდათან გამოიკვეთა პერსპექტივა, რომ შეხვედრა სულ მალე სასიკეთოდ დამთავრდება. გვინდა ვირწმუნოთ, რომ მადრიდის მაგალითი სტიმული გახდება ევროსათვის. მე მხედველობაში მაქვს მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შემცირების შესახებ, სადაც სოციალისტური ქვეყნების უკანასკნელი წინადადებები შესაძლებლობას გვაძლევს ბოლო მოვუღოთ უნაყოფო დისკუსიას და მივაგნოთ ორივე მხარისათვის მისაღებ ჯადაწყვეტას.

ევროპაში დაირწა დაძაბულობის შენელების აკვანი. და ევროპის ყველა სახელმწიფოზე — დიდ, საშუალო თუ მცირე სახელმწიფოებზე — არის დამოკიდებული იმ კეთილნაყოფიერი პროცესის ბედი, რომელსაც რვა წლის წინათ მიეცა დასაბამი ჰელსინკში. ჩვენ გვწამს, რომ ამ გზით შემდგომი წინსვლა სიკეთეს მოუტანს ევროპელებს, მთელ კაცობრიობას.

დასასრულ ნ. ა. ტიხონოვმა აღიეგრძელა ფედერალური კანცლერი და ქალბატონი კოლი, ვიცე-კანცლერი, საგარო საქმეთა ფედერალური მინისტრი და სადილად მყოფი ყველა სტუმარი, გამარჯვება უსურვა სსრ კავშირგერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარგ თანამშრომლობას ევროპისა და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

* * *

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჰ. კოლმა.

ჰ. კოლის სიტყვა

პირადად და ამავე დროს ჩემი დელეგაციის სახელით მადლობას მოგახსენებთ თქვენ, პატივცემულო ბატონო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეე, მოსალმებისა და მოსკოვში გაწეული მასპინძლობისათვის, თქვა ჰ. კოლმა.

დიდად კმაყოფილი ვარ იმის გამო, რომ შემიძლია განვაცხადო თქვენთან დიალოგი, რომელსაც უკვე აქვს ტრადიცია კონრად ადენაუერმა რომ ჩაუყარა საფუძველი 1955 წლის სექტემბერში მოსკოვში ვიზიტის დროს.

ფედერალურ მთავრობას, რომელსაც მე ვმეთაურობ, დასტური მისცა 1983 წლის 6 მარტს ამომრჩეველთა დამაჯერებელმა ვოტუმმა. ჩემი საგარეო-პოლიტიკური პროგრამის მნიშვნელოვანი მიზნებია:

— საბჭოთა კავშირთან და ჩვენს დანარჩენ აღმოსავლეო მეზობლებთან გრძელვადიანი ურთიერთობის შემდგომი განვითარება.

— ჩვენი ურთიერთობის თვისებრივი განახლება და გაუმჯობესება და

— უფრო რეგულარული საუბრების მოწყობა და კონტაქტების დამყარება ყველა დონეზე, მათ შორის უმაღლეს დონეზეც.

ჩემი ვიზიტი ითვალისწინებს, რომ ორმა ახალმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა გავიცნოთ ერთმანეთი და განუმარტოთ ერთმანეთს ჩვენი პოზიციები. იგი შესაძლებლობას გვაძლევს განვამტკიცოთ ურთიერთგაგება და ნდობა ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის, ისევე როგორც საერთოდ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

ჩვენი სახელმწიფოები სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სისტემებს განეკუთვნება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შედის ატლანტიკური კავშირის შემადგენლობაში, არის ევროპის გაერთიანების წევრი, მას მეგობრული ურთიერთობა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და თავის ევროპელ პარტნიორებთან. დასავლეთთან ჩვენი კავშირი, რომელიც მტკიცედ არის დაფუძნებული საერთო რწმენაზე, არის რეალობა, ჩვენი უშიშროების მოთხოვნა, აგრეთვე წინასწარნამეტყველები ჩვენი მოქმედების ელემენტი, ჩვენი გულმართლობის ელემენტი. იგი საფუძველია ჩვენი მზადყოფნისა საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების დანარჩენი წევრი სახელმწიფოების მთავრობებთან, აგრეთვე მათ მოქალაქეებთან დიალოგისათვის და ჩვენი მისწრაფებისა მათთან ურთიერთგაგებისათვის.

გადასაწყვეტი ამოცანების მოცულობის გამო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდება მათი პოლიტიკური აზრები და საპირისპირო საზოგადოებრივ წყობილებებს ეკუთვნიან, საერთო ამოსავალი წერტილი აქვთ: ზრუნვა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, დაძაბულობისა და მისი მიზეზების დაძლევისათვის.

ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ეგოგრაფიულად და პოლიტიკურად ევროპის ცენტრში ვიმყოფებით. ისინი განუყოფელია მთლიანად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის საერთო პირობებისაგან.

გერმანელებსა და რუსებს შორის ოდითგანვე არსებობდა მჭიდრო პირადი კავშირურთიერთობა და თანამშრომლობის მრავალგვარი ფორმები. რუსეთის, კერძოდ XIX საუკუნის რუსეთის გავლენა გერმანულ და ევროპულ კულტურაზე დღესაც იგრძნობა.

ჩვენი საუკუნის ამბებმა, ორი მსოფლიო ომით გამოწვეულმა გაპირებამ და მძიმე მსხვერპლმა შეარყიეს ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა. მაგრამ ამას არ დაუნგრეივია ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირურთიერთობა ჩვენ შორის. უფრო მეტიც, გადატანილი ტანჯვა-ვაება ერთობლივ მოვალეობებად გადაიზარდა.

ჩვენ გამოვიტანეთ გაკვეთილი ისტორიიდან. ჩვენს ხალხს მხურვალედ სურს იცხოვროს მშვიდობით. ვიცით, რომ მშვიდობის განმტკიცება ევროპასა და მთელ მსოფლიოში მხოლოდ ერთად შეიძლება.

გაძნელებული საერთაშორისო მდგომარეობის გამო ჩვენ გვჭირდება კომპრომისები, რომლებიც გაუძლებენ დატვირთვას, და უნდა ვხედავდეთ ჩვენი თანამშრომლობის ხანგრძლივ პერსპექტივას, არ შემოვფარგლოთ ჩვენი თვალთახედვის ერი ამჟამად არსებული სერიოზული სიძნელეებით.

ამიტომ გვინდა განვახორციელოთ აღმოსავლეთთან ურთიერთგაგების, თანამშრომლობის, დაძაბულობის შენელებისა და ინტერესთა შეწონასწორების პოლიტიკა საბჭოთა კავშირთან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, შთავბეჭოთ მათ კონკრეტული სიცოცხლე, ოთხმხრივი შეთანხმებების, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობის საფუძვლების შესახებ ხელშეკრულებისა და ჰელსინკის საბოლოო აქტის საფუძველზე, აგრეთვე მორგებებისა და განცხადებების საფუძველზე, რომლებიც ამ დოკუმენტებს ეყრდნობა. პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის დარგში თანამშრომლობის გაძლიერების მრავალფეროვანი შესაძლებლობანი არსებობს.

ჩვენ გვინდა განვახორციელოთ რეალისტური პოლიტიკა. მისი ბირთვია ძალის გამოუყენებლობის პრინციპი. იგი ხელმძღვანელობს ურთიერთობაში კეთილმეზობლობის სულისკვეთებით, ესწრაფვის შეთანხმებული მოდუსვივენტის კონსტრუქციულ გამოყენებასა და მისთვის სიცოცხლით შთაბერვას.

ბატონო თავმჯდომარე, თქვა შემდეგ ჰ. კოლმა, ჩვენი შეხვედრა გაიმართება ძნელი საერთაშორისო ვითარების ლოგობალურ ფონზე. კონფლიქტები, დაძაბულობა, სახელმწიფოთა ამბიციები და თავშეკავების უნივერსალური მოთხოვნის უგულებელყოფა საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას მსოფლიოს ბევრ ნაწილში.

დიდმნიშვნელოვან სფეროებში ჩვენ განსხვავებული აზრები გვაქვს კონფლიქტების მიზეზებისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრისას.

შემდეგ ჰ. კოლმა ჩამოაყალიბა ავღანეთში, ინდოჩინეთში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში არსებული მდგომარეობის შესახებ თავისი შეხედულებანი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, თქვა ჰ. კოლმა, პატივს სცემს და მხარს უჭერს მესამე სამყაროს სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასა და ნამდვილი მოუმხრობლობის სტატუსს. არ შეიძლება ამ სახელმწიფოთა ჩათრევა აღმოსავლეთის და დასავლეთის ანტაგონიზმში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობის და განვითარების საკითხთა კონფერენციის ბელგრადის სესიამ, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა, ცხადად გამოავლინა მესამე სამყაროს ქვეყნების მძიმე ეკონომიკური პრობლემები. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ყველა ინდუსტრიულმა ქვეყანამ უფრო ფართოდ უნდა გაუხსნას განვითარებადს ქვეყნებს თავისი ბაზრები და განაძლიერიოს მათთან უფრო ინტენსიური ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობა. ეს, ბატონო თავმჯდომარეე, ყველა ქვეყნისა და სისტემის მშვიდობიანი შეჯიბრების შესაფერისი ასპარეზია.

არა მარტო ჩვენ, არამედ ყველა ჩვენ მოკავშირესაც სურს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის არსებითი გაუმჯობესება. ამასთან დაკავშირებით დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა აღმოსავლეთ-დასავლეთის დიალოგი, რომელსაც დღეს მიმართავენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირი. მე მხარს ვუჭერ თქვენი გენერალური მდივნისა და ამერიკის პრეზიდენტის უმაღლესი დონის შეხვედრის სწრაფად მოწვევას. მიგვიჩნია, რომ ასეთი შეხვედრა, თუკი კარგად იქნა მომზადებული, არსებითად შეამცირებს უნდობლობის და ბიძგს მისცემს გადაუდებელ პრობლემათა გადაჭრას.

ნატოს ბოლო კომუნიკეტმა გარდა იმისა, რომ გამოთქმულია კავშირის გადაწყვეტილება თავი დაიცვას, ხაზგასმულია მზადყოფნა „თანამშრომლობისა და დიალოგის გზით განვითარონ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა დაძაბულობის ნამდვილი შენელების მიღწევის მიზნით“. ამ წინადადებას მხარს უჭერს კავშირის ყველა წევრი.

გაუგებრობისა და უნდობლობის აღმოფხვრას, აგრეთვე დაძაბულობის შენელებას ხელს უწყობს ჰელსინკში დაწყებული მშვიდობის განმტკიცების პროცესი, მთელი ევროპის ადამიანთა საკეთილდღეო პროცესი. ჩვენ მტკიცედ და განუხრელად უნდა განვაგრძოთ იგი.

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მადრიდის შეხვედრის სწრაფი წარმატებული დამთავრება შინაარსიანი და შეწონასწორებული საბოლოო დოკუმენტის ხელმოწერით, რომელიც შეიცავს ევროპაში ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა და განიარაღების შესახებ კონფერენციის მოწვევის შანდატს, იქნებოდა სამერმისო ჯაზს დასაწყისი. მადრიდში წამოყენებული საბოლოო დოკუმენტის კომპრომისული პროექტი ითვალისწინებს ყველა მონაწილის ინტერესებს. მის საფუძველზე სწრაფად უნდა მივაღწიოთ დამაკმაყოფილებელ შედეგს.

მან ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი პოლონეთის შესახებ.

უშიშროებისა და განიარაღების საკითხები, თქვა შემდეგ კანცლერმა, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის, რომელიც ორი კავშირისა და ორი საზოგადოებრივი სისტემის შესაყარზეა.

ჩვენთვის ძალის გამოუყენებლობის პრინციპი კვლავ მშვიდობის განმტკიცების ჩვენეული პოლიტიკის ბირთვია. იგი დამკვიდრებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით და დადასტურდა ჰელსინკის საბოლოო აქტით. იგი ჩვენს აღმოსავლელ მეზობლებთან დადებული ხელშეკრულებების მთავარი ელემენტია. ატლანტიკური კავშირის წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა ბონის 1982 წლის ივნისის დეკლარაციაში საჯაროდ გამოაცხადეს, რომ არავითარ იარაღს არასოდეს არ გამოიყენებენ და თუ გამოიყენებენ — მხოლოდ თავდასხმის მოგერიების მიზნით. ძალის გამოუყენებლობის პრინციპს ამაზე უფრო გასაგებად ვერ ჩამოაყალიბებ. ეს განცხადება, როგორც ჰ. კოლი ამტკიცებდა, ბევრად მეტს მოიცავს, ვიდრე უარის თქმა, პირველმა იხმარონ ბირთვული იარაღი.

ჩვენ ინტერესით მოვეკიდეთ პრაღის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ ფრაზადადებას, რომელიც კვლავ დაიმოწმეს ვარშავის ხელშეკრულების. მონაწილე სახელმწიფოებმა მოსკოვში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე. ძალის გამოყენების აკრძალვის სავალდებულო ფორმით ახალი დადასტურება ხელს შეუწყობს საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებას იმ შემთხვევაში, თუკი ეს კონკრეტულად აღკვეთს ძალის გამოყენებით დამუქრებას, ხოლო იქ, სადაც ხდება ძალის გამოყენება, — მის შეწყვეტას.

ჩვენ გვესმის საბჭოთა კავშირის უშიშროების ისტორიულად განპირობებული ინტერესები. ჩვენი მხრივ ვფლობ, რომ ჩვენს უშიშროების მოთხოვნილებებსაც გაგებით მოეკიდებიან.

სიტუაცია განსაკუთრებით სერიოზულია მიწისზედა ბაზირების საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის გამო. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის 1978 წლის 6 მაისის ერთობლივ დეკლარაციაში არის ერთმნიშვნელობიანი კონსტატაცია, რომ „ორივე მხარეს საჭიროდ მიაჩნია, არავინ არ ესწრაფვოდეს სამხედრო უპირატესობას“. ამასთან ორივე მხარე ხელმძღვანელობდა იმით, რომ დაახლოებითი თანასწორობა და პარიტეტი საკმარისია თავდაცვის უზრუნველყოფისათვის. უკვე 1978 წელს საბჭოთა კავშირს, როგორც ამტკიცებდა ჰ. კოლი, დიდი უპირატესობა ჰქონდა მიწისზედა ბაზირების მოქმედების საშუალო რადიუსის რაკეტული იარაღის დარგში, ხოლო ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერის თარიღიდან მან კიდევ გაარმაგა ამ რაკეტებზე თავისი ბირთვული ჭობინების რაოდენობა.

1983 წლის 3 მაისს გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა, რომ ბირთვული ჭობინების რაოდენობა ბირთვული საფრთხის გადამწყვეტი კრიტერიუმია. კანცლერმა ჩამოაყალიბა ნატოს ცნობილი პოზიცია ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტული იარაღის დარგში.

ჩვენ არ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, თქვა შემდეგ ჰ. კოლმა, რომ ყენევის მოლაპარაკება აქამდე სრულიად უშედეგო იყო. დიდმნიშვნელოვანი საკითხები არსებითად მკაფიოდ განისაზღვრა. თუ გვექნება შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებები და მზად ვიქნებით კომპრომისებისათვის, შესაძლებელი გახდება უკვე წელსვე მივაღწიოთ შედეგებს ამ მოლაპარაკებაზე.

განსაკუთრებით მახარებს ის, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები 29 ივნისს უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღებულ თავიანთ დეკლარაციაში ასევე აფასებენ სიტუაციას და აცხადებენ, რომ მზად არიან მიაღწიონ შედეგებს წელსვე. ვიმედოვნებ, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ეს გამონთქვამი განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სასარგებლოდ გავლენას მოახდენს ყენევის მოლაპარაკებასა და სხვა ფორუმებზე.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების ორივე ნაწილს, თქვა შემდეგ ჰ. კოლმა. ვიღაცამ ითქვა, რომ ამოვწუროთ მოლაპარაკების ყველა შესაძლებლობა. ჩვენ გვინდა ისე წარვმართოთ საქმე, რომ უზრუნველყოთ მშვიდობა და რაც შეიძლება მეტად შევამციროთ იარაღის რაოდენობა.

მე მოვუწოდებ საბჭოთა კავშირს შექმნას შესაძლებლობა მოლაპარაკების შეწონასწორებული შედეგის მისაღწევად. ვიზიარებ საბჭოთა მთავრობის აზრს, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის გვიან.

მაგრამ ასევე მკაფიოდ მინდა განვაცხადო აქ: თუ მოლაპარაკების კონკრეტული შედეგის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდება წელს, მაშინ — როგორც ეს გათვალისწინებულიც იყო — დაიწყება განლაგება კავშირის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებათა თანახმად. ფედერალური მთავრობა, რომელიც ეყრდნობა გერმანელი ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერას, არ გადაუხვევს ამას. მაგრამ მაშინაც კი კავშირი მზად იქნება მოლაპარაკების განსაგრძობად.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შეხვედრა სასარგებლო იქნება.

ის, რაც ითქვა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა 29 ივნისის დეკლარაციაში საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალებათა შესახებ მოლაპარაკების თაობაზე, წარმატების იმედს მისახავს.

ფედერალურ მთავრობას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, აგრეთვე სურს, რომ სტრატეგიული იარაღის შესახებ ყენევის მოლაპარაკებაზეც მიღწეულ იქნეს არსებითი ძვრები, თანაც ჩვენ ვხედავთ თავისი არსით საშუალო სიშორის იარაღის შესახებ მოლაპარაკებასთან არსებითად მჭიდრო კავშირს.

ჩვენ ერთნაირად ვართ დაინტერესებული იმით, რომ სწრაფ წარმატებას მივაღწიოთ ევროპაში შეიარაღებული ძალების ორმხრივი შეწონასწორებული შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებასა და ქიმიური იარაღის ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ ჟენევის მოლაპარაკებაზე.

ჩვენ ინტერესით მივიღეთ ცნობად, რომ ამ დღეებში საბჭოთა კავშირმა ვენის მოლაპარაკებაზე წარმოადგინა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც დასავლეთის მიერ 1982 წლის ივლისში წარმოდგენილ პროექტთან ერთად შეიძლება საფუძვლად დაედოს ჯერ კიდევ გადაუჭრელ ძირეულ საკითხებში შემდგომ დაახლოებას.

ბირთვული შეიარაღების დარგში განიარაღებამ ჩვენი ყურადღება არ უნდა ჩამოაშოროს ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის აუცილებლობას. ამიტომ გვინდა მივაღწიოთ მეტ სტაბილურობასა და მეტ უშიშროებას ვენის მოლაპარაკების ფარგლებში ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების შემცირების გზით და მთელ ევროპაში სამხედრო ხასიათის მოქმედების მეტი სიცხადის მიღწევის გზით, რომელსაც ვეცდებოდეთ ევროპაში ნდობის განმტკიცების ღონისძიებებისა და განიარაღებისადმი მიძღვნილი კონფერენციის ფარგლებში.

ახლა მოლაპარაკებებზე ისახება დიდი შესაძლებლობა შეიქმნას დაძაბულობის შენელებისა და დასავლეთისა და აღმოსავლეთის შორის ხანგრძლივი პერსპექტივით თანამშრომლობის საფუძვლები თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დაყრდნობით. ფედერალური მთავრობა მთელი სიმტკიცით მხარს უჭერს ამას.

მაგრამ ჩვენ ასევე მტკიცედ ვუჭერთ მხარს იმასაც, რომ უშიშროების დარგში ანსებულმა დავამ და აზრთა სხვადასხვაობამ არ მოიცვას ან არ ჩაახშოს ჩვენი თანამშრომლობა სხვა დარგებში.

ბატონო თავმჯდომარე, მომავლის საიმედო პოლიტიკური პერსპექტივა გაადიდება იმ შესაძლებლობათა ამოწურვის შანსებს, რომლებიც ისახება გრძელვადიანი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აქ კიდევ შეიქმნება ფართო სარბიელი ჩვენი ურთიერთობის განვითარებისათვის.

კმაყოფილებით შეგვიძლია შევხედოთ ჩვენი ორი სახელმწიფოს ეკონომიკური ურთიერთობის სასიხარულო განვითარებას, რომელიც აისახება ჩვენ შორის საქონელგაცვლის ისედაც მაღალი დონის მუდმივი ზრდით. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ეს საქონელგაცვლა რვაჯერ გაიზარდა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა კვლავაც დაინტერესებული იქნება თქვენს ქვეყანასთან გრძელვადიანი თანამშრომლობით, როგორც ეს ჩამოყალიბებულია იმ არსებულ შეთანხმებათა ფარგლებში, რომლებიც ჩვენი საუკუნის მიჯნებს სცილდება. ჩვენ გვსურს კვლავაც განვავითაროთ ეს შეთანხმებანი.

აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობის საგრეობლობა, რომელიც მომავლისკენ არის მიმართული და შეესაბამება ორმხრივ ინტერესებს, არ შემოფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ევროპელიობის გაუმჯობესებით. გარდა ამისა, თანამშრომლობა მიგვაჩნია ხანგრძლივი პერსპექტივით სტაბილური, ნაყოფიერი პოლიტიკური ურთიერთობის მთავარ და მტკიცე საფუძველად.

ფედერალურმა მთავრობამ ეს გამოავლინა მიმდინარე წლის მაისში, როცა განაცხადა, რომ მზად არის 1973 და 1974 წლებში დადებული თანამშრომლობის ორი შეთანხმება კიდევ ათი წლით გაახანგრძლივოს.

ბატონო თავმჯდომარე, ჩვენი ორი ქვეყნისა და ხალხის ურთიერთობას ისტორიისა და ადამიანური გრძნობების სიღრმეში აქვს ფესვი გადგმული. გერმანიის ყველა რეგიონიდან ადამიანები მოიმართებოდნენ რუსეთში და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ მის სულიერ და ეკონომიკურ განვითარებაში.

კანცელრი შეეხო სსრ კავშირიდან გერმანული ეროვნების საბჭოთა მოქალაქეთა გამგზავრების საკითხს.

დასასრულ ჰ. კოლმა თქვა: მოდით, ორიენტაცია ავიღოთ პრაგიზმზე იმაშიც, რაც შეეხება გაცვლას ხელოვნების, შეცნიერების, სპორტის დარგში, გაცვლას ახალგაზრდობის, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ხაზით. ადამიანთა პირადი ნაცნობობა ურთიერთგაგების საუკეთესო გზაა, ურთიერთგაგება კი მშვიდობის ყველაზე საიმედო საწინდარია. ამ თვალსაზრისით, ბატონო თავმჯდომარეე, ჩვენი პირველი შეხვედრის დროს შემოგთავაზეთ უმაღლესი დონისა და ყველა დანარჩენ დონის პრაქტიკულად გამართლებული პოლიტიკური დიალოგი გაგვეხადა ჩვენი ურთიერთობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. ამიტომ მოხარული ვიქნები, თუ შევძლებთ განვაგრძოთ დიალოგი გენერალურ მდივანთან ი. ვ. ანდროპოვთან და თქვენთან გერმანის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ჩვენ სრულიად გულახდილად ვისაუბრეთ და ყურადღებით მოვუსმინეთ ერთმანეთს. სწორედ ამისათვის ჩამოვედით აქ, და თუ ნდაც ამტკმ ჩვენი ეს შეხვედრა მეტად სასარგებლო იყო. მინდა ვისურვო, რომ ურთიერთგაგების ამ შესაძლებლობამ მომავალში შეამსუბუქოს ჩვენი მუშაობა და იგი გადაიქცეს ნდობის მტკიცე საფუძვლად.

მან წარმოთქვა ხალხთა შორის მშვიდობისა და ურთიერთგაგების სადღეგრძელო, ბენდიერი მომავალი და წარმატებანი უსურვა საბჭოეთს შემდგომ განვითარებაში, აღიეგრძელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე.

* * *

ნ. ა. ტიხონოვისა და ჰ. კოლის სიტყვები ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკადესი).

გაიმართა შეხვედრა

5 ივლისს კრემლში ერთმანეთს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის მოადგილე, საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰ.-დ. გენშერი.

ბირთვული შეიარაღების დარგში განიარაღებამ ჩვენი ყურადღება არ უნდა ჩამოაშოროს ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის აუცილებლობას. ამიტომ გვინდა მივაღწიოთ მეტ სტაბილურობასა და მეტ უშიშროებას ვენის მოლაპარაკების ფარგლებში ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების შემცირების გზით და მთელ ევროპაში სამხედრო ხასიათის მოქმედების მეტი სიცხადის მიღწევის გზით, რომელსაც ვეცდებოდეთ ევროპაში ნდობის განმტკიცების ღონისძიებებისა და განიარაღებისადმი მიძღვნილი კონფერენციის ფარგლებში.

ახლა მოლაპარაკებებზე ისახება დიდი შესაძლებლობა შეიქმნას დაძაბულობის შენელებისა და დასავლეთისა და აღმოსავლეთს შორის ხანგრძლივი პერსპექტივით თანამშრომლობის საფუძვლები თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დაყრდნობით. ფედერალური მთავრობა მთელი სიმტკიცით მხარს უჭერს ამას.

მაგრამ ჩვენ ასევე მტკიცედ ვუჭერთ მხარს იმასაც, რომ უშიშროების დარგში ანსებულმა დავამ და აზრთა სხვადასხვაობამ არ მოიცვას ან არ ჩაახშოს ჩვენი თანამშრომლობა სხვა დარგებში.

ბატონო თავმჯდომარე, მომავლის საიმედო პოლიტიკური პერსპექტივა

ყოველთვიური

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუწყება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრებზიდიუმში

გავაძლიეროთ კონტროლი, ავაამაღლოთ პასუხისმგებლობა

საქმიანად, დეპუტატთა მაღალი აქტიურობით რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე განიხილეს მომსახურების სფეროს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის სრულყოფის, საბინაო მეურნეობის შემდგომი განვითარების, საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის გაუმჯობესების საკითხები, საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის პროექტი. სესიის მონაწილეებმა, რომლებმაც ჯეროვნად შეაფასეს მიღწეული წარმატებანი პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, გასაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში არსებულ ხარვეზებს, მოსახლეობის საჭიროებათა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ცუდი ორგანიზაციის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა არადამაკმაყოფილებელი საქმიანობის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაბალი ხარისხის ფაქტებს.

განხილულ საკითხებზე დეპუტატებმა წამოაყენეს 69 წინადადება და კრიტიკული შენიშვნა. ეს და სესიისათვის მზადების პერიოდში მიღებული წინადადებანი და შენიშვნები რეადგირებისათვის გაეგზავნათ რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებს.

ეს ითქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ღონისძიებანი. მიღებულ დადგენილებაში სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს დაევალათ ყოველნაირად შეუწყონ ხელი შრომითს კოლექტივებს განავითარონ ინიციატივა და უფრო სრულად განახორციელონ სსრ კავშირის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებანი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მართვაში, სახელმწ ი ფ ო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაში. მათ უნდა გააძლიერონ კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი, აამაღლონ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ფორმალურად ეკიდებიან მიცემული დავალებების შესრულებას.

შესაბამისი დავალებანი და რეკომენდაციები მიეცათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესუბლიკის უმაღლესი საბჭოს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს.

კონტროლის გაძლიერებისა და შესრულების შემოწმების სრულყოფის, მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები აღძრეს პრეზიდიუმის სხდომაზე ამომრჩევლებთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შეხვედრების იმ ერთიანი კვირეულის შედეგების განხილვის დროსაც, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში მოეწყო. აღინიშნა, რომ ამ შეხვედრების დროს გამოითქვა ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება და შენიშვნა, რომელთა მიზანია შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესება, ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ახლა მთავარია საგულდაგულოდ გავაანალიზოთ ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისადმი გამოთქმული თითოეული წინადადება, დავუწესოთ მკაცრი კონტროლი მათს შესრულებას, აღნიშნეს სხდომის მონაწილეებმა და ეს საქმე დაავალეს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს. ხოლო რესპუბლიკის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, თავის მხრივ, დაუყოვნებლივ უნდა განიხილონ დეპუტატთა მიმართვებში გამოთქმული წინადადებანი, განახორციელონ მათი რეალიზაციის საჭირო ღონისძიებანი.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის სახალხო დეპუტატთა გორის საქალაქო და წალენჯიხის რაიონული საბჭოების მუშაობის საკითხი. პრეზიდიუმმა აღნიშნა ამ საქმეში არსებითი ნაკლოვანებანი და დაავალა ორივე საბჭოს, მათს აღმასრულებელ კომიტეტებს ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გააქტიურდეს ამ მიმართულებით ადგილობრივი საბჭოების შესაბამისი კომისიების, მათი აღმასკომებისა და დეპუტატების საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს მათი მუშაობის კოორდინაცია და სამართალდაცვითს ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ზუსტი ურთიერთმოქმედება.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. სანებლიძისა, გაზეთების „სოფლის ცხოვრებისა“ და „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორების მ. დავითაშვილისა და ს. სულეიმანოვის, დუშეთის რაიონის შატილის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. ჭინჭარაულის ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრებისათვის. განიხილეს აგრეთვე საბჭოთა მშენებლობის სკოლებში შემაჯამებელი მეცადინეობის შედეგები, მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთაგან თითოეულზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

(საქინფორმი).

შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

5 ივლისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა მიიღო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კლოდ არნო.

ამხ. ქართველიშვილმა სტუმარს გააცნო ქართველი ხალხის ისტორია და ძველი კულტურა, საბჭოთა საქართველოს მიღწევები ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა დარგში.

საუბრის დროს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის საკითხებსა და საფრანგეთის მხარესთან მისი განვითარების შესაძლებლობებს. კლოდ არნომ მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის, საინტერესო და შინაარსიანი საუბრისათვის. ფრანგი ხალხის სახელით მან ბედნიერება და აყვავება უსურვა ქართველ ხალხს.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. აბვლედიანი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ელიგულაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ე. ცისკარიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ე. ა. სეხნიაშვილი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე.

* * *

იმავე დღეს საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კლოდ არნო თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. (საქინფორმი).

● ●

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

საზღვაო ფლოტის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი ამხ. ჯემალ კონსტანტინეს შე ჩიგვარია დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

ეწვივნენ კუბის საელჩოს

5 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ.კ. მესიაცი ეწვივნენ კუბის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს კუბის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სოფლის მეურნეობის მინისტრის არნალდო გილიან კასტროს უდროოდ გარდაცვალებასთან დაკავშირებით და ხელი მოაწერეს სამძიმრის სამგლოვიარო წიგნში.

(საკდესი).

● აშშ

უმუშევართა ეროვნული ყრილობა

ჩიკაგო. აქ გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების უმუშევართა ეროვნული ყრილობა.

ორმად სიმბოლურია, რომ ასეთივე ფორუმი ჩიკაგოში გაიმართა 1930 წლის ზაფხულში „დიდი დეპრესიის პერიოდში“. მაშინ „უმუშევარი ამერიკის“ წარმომადგენლებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს ხვლისუფალთა და მონოპოლიათა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ კრიზისის მთელი სიმძიმე მშრომელებისათვის დაეკისრებინათ. ისევე როგორც ნახევარი საუკუნის წინათ ახლანდელი ყრილობის მოწვევის მიზეზია უმუშევრობის უპრეცედენტო დონე. მეტად შემცირებული ოფიციალური მონაცემებითაც კი, მაისში მან შეადგინა მთელი დაქირავებული მუშახელის საერთო რიცხვის 10,1 პროცენტი.

ეს ნიშნავს, რომ უმუშევარი იყო 11,2 მილიონი კაცი.

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩიკაგოში სხვადასხვა შტატიდან ჩამოვიდა დაახლოებით 500 დელეგატი. ესენი არიან პიტსბურგელი მეფოლადეები და დეტროიტელი ავტომშენებლები, ოჰაიოელი გაკოტრებული ფერმერები და ნიუიორკელი მასწავლებლები. თითოეული მათგანის მწარე ბედი დამაჯერებლად უარყოფს რეიგანის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ვითომ ოპტიმისტურ მტკიცებებს, თითქოს ეკონომიკაში „საქმე წინ მიდიოდეს“.

დელეგატები ცხოვრობენ ძველ კარვებსა და სახელდახელოდ აგებულ ქოხმახებში. ამ დასახლებას მათ „რეიგანვილი“ უწოდეს. თავად მისი არსებობა, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში ათასობით მისი ორეულის არსებობა, რომლებიც ერთადერთი თავშესაფარია „ზედმეტი ადამიანებისათვის“, თვითონ სახლის ახლანდელი პატრონის სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკისადმი წყენებული მკაცრი ბრალდებაა.

კონკრეტულად რა ამოცანებს ისახავენ ყრილობის მონაწილეენი?

„უწინარეს ყოვლისა, ვაპირებთ განვიხილოთ და მივიღოთ მშრომელთა ძირითადი უფლებების, უწინარეს ყოვლისა, შრომის უფლების განხორციელებისათვის ბრძოლის ვრცელი პროგრამა, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ჯ. უილიამსმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „სამუშაო-დაუყოვნებლივ“ —ხელმძღვანელობის წევრმა. სწორედ ეს ორგანიზაცია არის ყრილობის მოწყობის მთავარი ინიციატორი. — ვაპირებთ განვუცხადოთ ადმინისტრაციას, რომ სწორედ მას აკისრია პასუხისმგებლობა უმუშევრობის კატასტროფული ზრდისათვის“. დელეგატებს სურთ აგრეთვე მიიღონ გადაწყვეტილება უმუშევართა საერთო ეროვნული ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

● ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

პალესტინის პრობლემის გადასაწყვეტად

ჟენევა. ჟენევის ერთა სასახლეში მუშაობა დაიწყო პალესტინის საკითხისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციისათვის ევროპის რეგიონალურმა მოსამზადებელმა თათბირმა. თათბირში, რომელიც 8 ივლისამდე გასტანს, მონაწილეობენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლები, აგრეთვე ევროპის 20-მდე ქვეყნის, მათ შორის საბერძნეთის, ესპანეთის, თურქეთის, მალტის, ავსტრიის, ფინეთის, პორტუგალიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის დელეგაციები, მთელი რიგი სხვა სახელმწიფოებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეთვალყურენი.

თათბირის დღის წესრიგშია — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და პალესტინის პრობლემა. მისი მონაწილენი განიხილავენ და მიიღებენ ევროპის რეგიონალური მოსამზადებელი თათბირის მოხსენებასა და რეკომენდაციებს, რომლებშიც განსაზღვრული იქნება პალესტინის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტის პერსპექტივები, მათ შორის ამ საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით.

მოხსენება და რეკომენდაციები, აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში გამართული სხვა რეგიონალური მოსამზადებელი კონფერენციების ანალოგიურ დოკუმენტებთან ერთად წარედგინება პალესტინის საკითხისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციას. მისი მოწყობა დაგეგმილია ჟენევაში ამა წლის 29 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე.

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

აშშ: ერევიან სხვის საქმეებში

რეიგანის ადმინისტრაცია, რომელიც სხვა ქვეყნების საქმეებში აშკარა ჩარევის პოლიტიკას ახორციელებს, ხამხედრო დახმარებას უწრდის სალვადორის ხისხლიან რეჟიმს.

პენტაგონის ნაწილების „მწვანე ბერეტები“, რომლებიც დასპეციალებული არიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგ დამჭერ ოპერაციებში, სალვადორის რეჟიმის არმიის ნაწილებს ასწავლიან ანტიპარტიზანული ოპერაციების ტაქტიკას.

დღემდე, როგორც ვაშინგტონში ამერიკის ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, ამერიკელ ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით სამხედრო მომზადება გაიარა 7 ათასამდე სალვადორელმა სამხედრო მოსამსახურემ.

სურათზე: სალვადორელი დამჭერები და მათი ამერიკელი დამრიგებლები (უკანა პლანზე).

● ᲒᲣᲠ

მეცნიერთა მონოდება

ბონი. მთელი მსოფლიოს მეცნიერთა ვალია არ დაუშვან თერმობირთვული ომის გაჩაღება, რომელმაც შეიძლება მოსპოს მთელი კაცობრიობა. ეს აზრი წუთელ ზოლად გასდევდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ჰოლანდიისა და შვეიცის ბუნების მკვლევარ მეცნიერთა მაინცში გამართული კონგრესის მონაწილეთა გამოსვლებს.

ამ საერთაშორისო ფორუმის მონაწილეთა მიერ მიღებული განცხადება შეიცავს მტკიცე პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ პირველი ატომური ბირთვული იარაღის არსებულები განალაგონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მათ მოუწოდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას არ დაუშვას დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება.

● **ᲥᲐᲑᲣᲚᲘ.** ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მთლიანად მოიწონა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის შ. ბ. დოსტის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის დ. კორდოვესის მეშვეობით ჟენევაში გამართული ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკების შედეგების შესახებ წარმოდგენილი დებულებები.

● **ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲘ.** დამთავრდა სირიის სახალხო საბჭოს (პარლამენტის) მორიგი სესია. სამშობლოს დაცვის საქმეში, განაცხადა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ახდელ რაუფ ყასმამ საბოლოო სხდომაზე, ჩვენი პოლიტიკა უცვლელია. ჩვენ მტკიცედ წინააღეუდგებით სიონისტიზმსა და იმპერიალიზმის მუქარას სირიის მიმართ.

● **ᲕᲔᲜᲐ.** ავსტრიაში წარმატებით მიმდინარეობს სახსრების შეგროვება კომუნისტური პრესის ფონდში. როგორც ვაზეთი „ფოლქსშტიმე“ იუწყება, მიმდინარე წლის პირველ ხუთ თვეში უკვე მოგროვდა 940 ათას შილინგზე მეტი.

ᲘᲣᲕᲘᲐᲗᲘ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ

ბრაზილია. 36-კილოგრამიანი ოქროს ზოდი იპოვეს ბრაზილიის ამაზონიაში „სერა პელადას“ სარეწში. იგი შეფასებულია 1,6 მილიარდ კრუზეიროდ (3 მილიონ დოლარზე მეტი), ეს ერთერთი უდიდესი ზოდია, რომელიც კი ამ ქვეყნის ისტორიაში აღმოუჩენიათ.

ᲖᲕᲘᲒᲔᲜᲘ—ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ

კანბერა. ტასმანიის შტატის მთავარი ქალაქის ხობარტის მახლობლად ორმა ავსტრალიელმა პროფესიულმა მებადურმა ბადით დაიჭირა გიგანტური თეთრი ზვიგენი, რომლის სიგრძე ექვსი მეტრია და ორ ტონას იწონის. როგორც მებადურებმ ა თქვეს, ამ რაიონში გამოჩნდება ხოლმე კიდევ უფრო დიდი — ცხრამეტრიანი ზვიგენი და იმედოვნებენ, რომ მასაც დაიჭერენ.

დღემდე მსოფლიოში ყველაზე დიდი თეთრი ზვიგენი, რომელიც კუბის ნაპირებთან დაიჭირეს, 6,4 მეტრი სიგრძისა იყო.

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ

საჯაშუშო უწყების რეცეპტებით

ავსტრალიის გაზეთმა „სიდნეი მორნინგ ჰერალდმა“ გამოაქვეყნა სტატია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობის შესახებ. მკითხველებს ვთავაზობთ ამ სტატიას მცირეოდენი შემოკლებით.

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ამჟამად ყველაზე სწრაფად მზარდ სახელმწიფო დაწესებულებას უწოდებენ. მაშინ, როცა რეიგანის ადმინისტრაცია კვეცავს მეტი წილი სამოქალაქო უწყებების ფონდებს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბიუჯეტი 1983 წელს 25 პროცენტით გაიზარდა შარშანდელთან შედარებით. როგორც კი რონალდ რეიგანმა თეთრ სახლში მოიკალათა, მან აღნიშნულ სამმართველოს ბევრად ფართო უფლებამოსილებანი მიანიჭა. შარშან სამმართველომ აშკარადაც კი გამოაცხადა შტატის გაფართოების თაობაზე. 250 ათასი მოქალაქე გამოეხმაურა განცხადებას, რომელიც გაზეთებსა და ჟურნალებში დაიბეჭდა. მათგან 1500 სამსახურში მიიღეს. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტატი, რომელიც კარტერის დროს 14 ათასს შეადგენდა, ამჟამად 16 ათასს აღემატება, და, როგორც გაზეთი „ნიუიორკ ტაიმსი“ იუწყება, კვლავაც გაიზრდება.

აპარატის ზრდასთან ერთად იზრდება საჯაშუშო უწყების როლიც. პრეზიდენტმა რეიგანმა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ნება დართო განახორციელოს ოპერაციები ქვეყნის შიგნით, რაც წინათ ეკრძალებოდა. მისი აქტიურობა სულ უფრო მეტად იგრძნობა საშინაო პოლიტიკაში: იგი გავლენას ახდენს პოლიტიკური კამათის მიმდინარეობაზე.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ამჟამინდელი მოქმედება ამერიკის ფარგლებს გარეთ შეიძლება დავახასიათოთ როგორც ყველაზე აქტიური 1973 წელს ჩილეში მმართველი გადატრიალების დროიდან. ძირგამომთხრელი საქმიანობის ობიექტად იქცა ცენტრალური ამერიკა — რეგიონი, რომელიც ყოველთვის იპყრობდა შეერთებული შტატების განსაკუთრებულ ყურადღებას. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დახმარებით თავის დროზე სამხედრო დიქტატურები დამყარდა გვატემალასა და ნიკარაგუაში. შეერთებული შტატები დახმარებას უწევს სალვადორისა და ჰონდურასის ანტიხალხურ რეჟიმებს. სწორედ ჰონდურასი გახდა პლაცდარმი, საიდანაც ეწყობა სამხედრო ოპერაციები ნიკარაგუის წინააღმდეგ. ბრესის ცნობით, ამჟამად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 150-ზე მეტი აგენტი იმყოფება ჰონდურასში, რამდენიმე ათეული — მეზობელ ქვეყნებში. მათი უმრავლესობა ძირგამომთხრელი და დამსჯელი ოპერაციების სპეციალისტია.

სამმართველოს საქმიანობა ამერიკის კონგრესის მზარდ შეშფოთებას იწვევს. კონგრესმენებისათვის ცნობილი იყო დაზვერვის დაინტერესება ცენტრალური ამერიკის ამბებით, მაგრამ ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისათვის აშკარა სამხედრო დახმარების შესახებ მხოლოდ პრესიდან შეიტყვეს. არსებობს უტყუარი საბუთები იმისა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო თავისი „ბინძური სამუშაოს“ შესასრულებლად სისტემატურად იყენებს ყველა ჯურის ძაღირალებს. მაგალითად, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ყოფილი მოადგილე ბობი ინმანი, რომელიც შარშან გადადგა, ხშირად უწევდა სამსახურს სომოსას ეროვნულ გვარდიელებს.

საჯაშუშო უწყების ყველა ოპერაციის უკან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის უილიამ კეისის ფიგურა დგას. კონგრესში ბევრს მიაჩნია, რომ სამმართველოს შეფი ცდილობს თავისი უწყების საქმიანობა თეთრი სახლის პატრონის რიტორიკას მიუსადაგოს.

ცენტრლური სადაზვერვო სამმართველოს განსაკუთრებული ინტერესის საგანია საბჭოთა კავშირი. კერძოდ, სამმართველო მონაწილეობს ვაშინგტონის ცდაში შეზღუდოს დასავლეთის ტექნოლოგიის მიწოდება სსრ კავშირისათვის. კეისი, რომელმაც რეიგანის საარჩევნო კამპანია მოაწყო, ახლა, როგორც ჩანს, პრეზიდენტის ანტისაბჭოთა კამპანიას აწყობს.

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

1979 წლიდან ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადწყვეტილებით ყოველწლიურად იმართება გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ბუნების დაცვის ერთთვიურები. ამ ერთთვიურებს აქვთ არა მარტო ბუნებადაცვითი, არამედ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობაც.

ერთთვიურების დროს ბუნების დაცვის სამსახურებმა, ბუნების დაცვის საზოგადოების პირველადმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, სამეცნიერო, საპროექტო, საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა მიწის, წიაღის, წყლის რესურსების, ატმოსფეროს, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს, ბუნების ძეგლთა დაცვის დარგში.

საქართველოში ერთთვიურებმა დასაბამი მისცა მშობლიური ბუნების სიმდიდრეთა დაცვისა და გამრავლებისათვის საყოველთაოსახალხო მოძრაობას, გადაიქცა კარგ სახალხო ტრადიციად, ბუნების დაცვის სამსახურების საქმიანობის შემოწმებად.

წელს ბუნების დაცვის ერთთვიური იმართება ივლისში.

საქინფორმის კორესპონდენტმა ხთხოვა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს 3. კაპანაძეს ეამბნა ერთთვიურის ღონისძიებათა შესახებ.

— **ᲬᲚᲔᲣᲚᲘ** ერთთვიურში, თქვა ვ. კაპანაძემ, მონაწილეობას მიიღებენ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა — ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი. ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი საქართველო და სასოფლო კლუბებში, სამეცნიერო ცენტრებსა და სტუდენტთა აუდიტორიებში წაიკითხავენ ლექციებს გარემოს დაცვის აქტუალურ პრობლემებზე.

ბუნების დაცვის იმ ღონისძიებათა დიდი მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე გარკვევით ითქვა: „ბუნების, გარემოს დაცვა ჩვენი დროის უმწვავესი პრობლემა გახდა. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ, ვასრულებდით რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, ჩვენ შევძელით 180 გრადუსით შემოვბრუნებულყავით ამ პრობლემისაკენ...

ჩვენ კვლავაც უნდა სრულვყოთ ბუნებისა და გარემოს დაცვის საშუშაოთა კოორდინაცია. კიდევ უფრო ავამაღლოთ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, საბჭოთა მეურნეობის სამინისტროსა და შესაბამისი ინსტიტუტების როლი და ავტორიტეტი“.

ერთთვიურის უმთავრესი ამოცანაა საქმით ვუპასუხოთ ამ მოწოდებას, ხელი შევუწყოთ იმ ეკოლოგიური პროგრამის განხორციელებას, რომელიც დასახეს სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ და რომელიც განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში, თითოეულ ადამიანს ჩავუნერგოთ მისწრაფება აქტიურად დაიცვას ბუნება, კიდევ უფრო ლამაზი და მდიდარი გახადოს იგი.

ერთთვიურის გეგმა-პროგრამა გულისხმობს ბევრ სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებას, რომლებიც გათვალისწინებულია მოსახლეობის უფროთოესი ფენებისათვის, პროფესიებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

მაგალითად, 6 ივლისს გაიმართება პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია — „საქართველოს სს რესპუბლიკის წითელი წიგნი — პრობლემები, ამოცანები, პერსპექტივები“. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკისა და ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები. ისინი გააშუქებენ მუშაობას, რომელიც რესპუბლიკაში ხორციელდება ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს „წითელ წიგნში“ შეტანილი წარმომადგენლთა შენარჩუნებისა და გამრავლების უზრუნველყოფის მიზნით.

ამავე დღეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნება ეგზოტიკური ფრინველებისა და აკვარიუმის თევზების რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსი, რომელზეც წარმოდგენილი იქნებიან ფრინველებისა და თევზების ის ჯიშეთი ნიმუშები, რომლებსაც ცოცხალი ბუნების მოყვარულნი ამრავლებენ.

ექსპოზიცია „საქართველოს სს რესპუბლიკის წითელი წიგნი“ დამთავლიერებელთა ყურადღებას მიიპყრობს საქართველოს კონკრეტულ სახეობათა ფლორასა და ფაუნას, რომლებსაც ადამიანის დახმარება სჭირდება.

ეკოლოგიური ფილმების კვირეულის პროგრამაშია ისეთი დოკუმენტური ფილმები, როგორიც არის „დარღვეული წონასწორობა“, „უღრუბლო ცა“, „ტყის სიმფონია“, „ადამიანი და ტყე“, „გასროლა რიკოშეტით“, „ცხენრემის ბედი“, „ცისფერი ტბა“, „კარის გასაღები“, „თუ შენ ზღვას უყვარხარ“, „შავი ოქროს მარცვალი“, „ადამიანი და მიწა“ და სხვ.

21 ივლისს შეჯამდება სარეველებისა და საკარანტინო მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური ერთთვიურის შედეგები, რომელიც აქტიურად მიმდინარეობდა ყველა რაიონში და არსებითი სარგებლობა მოუტანა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას.

საქართველოში ნავთობის სამრეწველო მოპოვების პირველი დღიდანვე ბუნების დაცვის სამსახურები ახორციელებენ მუდმივ კონტროლს, რაც გარემოს იცავს გაჭუჭყიანებისაგან. 8 ივლისს შეჯამდება საწარმოო გაერთიანებების „საქნავთობისა“ და „გროზნონავთობის“ ჭაბურღილებისა და ტერიტორიების აპრილ-მისში გამართული რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები.

11 ივლისს ბათუმში ერთთვიურის მონაწილენი გაეცნობიან ნაპირსამაგრებელ სამუშაოებთან დაკავშირებული სხვა დათვალიერების შედეგებს, რომელიც გაიმართა ვეფხვი „საქართველოს შავი ზღვის ნაპირები საფრთხეშია“.

კინოს სახლში მოეწყობა საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნება თემას „ქართული ხელოვნება მშობლიური ბუნების სამსახურში“. საქართველოს კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი სხდომაზე ილაპარაკებენ ამ მიმართულებით გაწეული მუშობისა და გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი კინოფილმებისა და თეატრალური დადგმების შექმნის გეგმებზე.

ბუნების დაცვის ღონისძიებებში სულ უფრო ხშირად აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებმაც უკვე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მისცეს პრაქტიკოსებს. 14 ივლისს კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში დევნიზით „წყლის რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება ახალგაზრდობის საზრუნავია“ გაიმართება წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების საკითხებზე მომზადებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური შეკრება.

ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყობა ბუნების დაცვის ენთუზიასტთა — აკადემიკოსების ვასილ ზაქარიასა ძე გულისაშვილის, თეოფანე ფარნას ძე დავითაიას, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეკენელის ხსოვნის საღამო.

18 ივლისს თბილისის ბოტანიკურ ბაღში გაიმართება სა

მეცნიერის ფართო თვალსაწიერი

აკადემიკოს

პ. გამყრელიძის

დაბადების

80 წლისთავის გამო

ქართველი გეოლოგების ხანგრძლივი და დიდი გარჯის შედეგად დღეს ჩვენი რესპუბლიკა გეოლოგიური შესწავლის დონით მთელ ქვეყანაში გამოირჩევა. უეჭველია, წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ჩვენში გეოლოგიის სათავეებთან იდგნენ ისეთი შესანიშნავი მეცნიერები და მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე, კალისტრატე გაბუნია, ეს მათი ღვაწლია, პირველ ყოვლისა, რომ შეიქმნა ქართული გეოლოგიური სკოლა, რომელმაც არაერთი სასიქადულო სწავლული და პრაქტიკოსი გეოლოგი აღზარდა. ისეთ სახელოვან შომამგეთა შორის მუდამ მოიხსენიება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პეტრე გამყრელიძე.

პეტრე გამყრელიძე იმ თაობის წარმომადგენელია, რომელსაც გეოლოგიის მეცნიერების მკვიდრი საფუძვლები დახვდა, თავად კი დიდი შრომა და ენერგია დასჭირდა მიღწეული წარმატებების გასამრავლებლად. ამიტომაც ის იმთავითვე ქართული გეოლოგიური სკოლის არა მარტო მოწაფე, არამედ აქტიური მშენებელიც გახდა.

პ. გამყრელიძემ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. ახალგაზრდა კაცმა იმთავითვე მიიპყრო მასწავლებლების ყურადღება. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ სტუდენტი, პროფესორმა კ. გაბუნიამ გამოყენებითი გეოლოგიის კათედრაზე პრეპარატორლაბორანტად მიიწვია. იმ დღიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე პ. გამყრელიძის საქმიანობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არის დაკავშირებული. აქ განვლო მან პედაგოგიური მოღვაწეობის ყველა საფეხური ასისტენტიდან პროფესორამდე და კათედრის გამგემდე. მის მრავალრიცხოვან მოწაფეთა შორის, რომლებიც ჩვენი დიდი ქვეყნის სულ სხვადასხვა კუთხეში იღვწიან, ახლა მრავალი სახელმოხვეჭილი მეცნიერია.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად პ. გამყრელიძეს დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის კვლევითი სამუშაოების ჩატარება მოუხდა. სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში იგი სტუდენტობიდანვე ჩაება და ეს მუშაობა იმთავითვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტასთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გეოლოგიურ-აგენგმვითი სამუშაოები, რომელთა შედეგად მას შედეგენილი აქვს სხვადასხვა მასშტაბისა და დანიშნულების ბევრი გეოლოგიური რუკა, რომლებიც საფუძვლად დაედო სასარგებლო წიაღისეულის არაერთი საბადოს ძებნა-ძიებითსა და სხვა ხასიათის სამუშაოებს.

როცა პ. გამყრელიძის მიერ ნაყოფიერად განვლილ გზას ვაკვლებთ თვალს, განსაკუთრებით გამოიკვეთება სწავლულის მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც ამჟამად მისი დამაარსებლის — აკადემიკოს ა. ჯანელიძის სახელს ატარებს. აქ დაიცვა მან საკანდიდატო და მუდოქტორო დისერტაციები; აქ მუშაობდა, როცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, შემდეგ კი ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს; აქ მიენიჭა მას საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1955 წლიდან მოყოლებული, სახელოვანი მეცნიერი 23 წელი ხელმძღვანელობდა ინსტიტუტს და ამ ხნის განმავლობაში მისი წინამძღოლობით კიდევ უფრო განმტკიცდა გეოლოგიის ინსტიტუტის მდიდარი ტრადიციები. ინსტიტუტში იმ წლებში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სპეციალისტი მოვიდა. გაძლიერდა და გამრავალფეროვნდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ბაზა. პ. გამყრელიძის ხელმძღვანელობით, ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით გეოლოგებმა ჩვენი რესპუბლიკის არაერთი პრაქტიკულად საინტერესო რეგიონი გამოიკვლიეს.

პ. გამყრელიძის სამეცნიერო ინტერესები გეოლოგიის მრავალ სფეროს მოიცავს. დიდია მისი ღვაწლი ისეთ დარგებში, როგორიც არის სტრატიგრაფია, საინჟინრო გეოლოგია, წიაღისეული საბადოები, მაგრამ მისი რჩეული დარგი რეგიონული გეოლოგია და ტექტონიკაა. სწავლულმა ფეხით შემოიარა და შეისწავლა საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი — სამხრეთი საქართველო, აჭარა-თრიალეთი, სვანეთი, რაჭა, ოსეთი, მთიულეთი, კახეთის მთიანეთი და შექმნა შრომები საქართველოსა და მთელი კავკასიის გეოლოგიურ-ტექტონიკური აგებულების შესახებ. პ. გამყრელიძის რედაქტორობითა და თანაავტორობით შექმნილ კოლექტიურ მონოგრაფიას ჩვენი რესპუბლიკის გეოლოგიაზე 1973 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი იყო საბჭოთა კავშირის გეოლოგთა ნაციონალური კომიტეტის, ევროპის საერთაშორისო ტექტონიკური რუკის სარედაქციო კოლეგიის, საბჭოთა კავშირის საუწყებათაშორისო ტექტონიკური კომიტეტის წევრი და საუწყებათაშორისო ტექტონიკური კომიტეტის კავკასიის სექციის თავმჯდომარე.

საქართველოს გეოლოგთა საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი ორი ათეული წლის განმავლობაში საზოგადოების სწავლული მდივანი გახლდათ. 1971 წელს ქართველი მეცნიერი საფრანგეთის გეოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს.

პ. გამყრელიძის ყოველი შრომა, ყოველი დაკვირვება ახალი სიტყვა იყო ქართულ გეოლოგიაში. მისი დაუღალავი შრომა და ღვაწლი, მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე, მისი წვლილი სახალხო მეურნეობის განვითარების დიდ საქმეში აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით — ლენინისა და შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით.

ბუნებრივია, რომ ისეთი ღვაწლმოსილი ადამიანები, როგორიც აკადემიკოსი პეტრე გამყრელიძე იყო, ნათელსა და წარუშლელ კვალს ტოვებენ მადლიერი მშობელი ხალხის გულში.

ა. ცაგარელი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

ვ. ზესაშვილი,
ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი.

კვლავ

გასგრილები

საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული აკადემიური ანსამბლი — სსრ კავშირის სახალხო არტისტების, სსრ კავშირის სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით საგასტროლოდ საბერძნეთში გაემგზავრა. ანსამბლი უკვე მეხუთედ მიიწვიეს ძველი ელადის მიწა-წყალზე. იგი ამჯერად მასპინძლებს უჩვენებს ფოლკლორულ კომპოზიციებს, ხალხურ ცეკვებსა და ქორეოგრაფიულ მინიატურებს.

ა ი, რა თქვა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში **ნ. რამიშვილმა:** — ბერძენმა იმპრესარიომ კრისტმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გვეწვია თბილისში, გვითხრა, რომ ათენში უკვე კარგა ხანია გელიან ქართველ მოცეკვავეებს და როდოსის კუნძულის მერმა საგანგებოდაც კი მიგიწვიათო. ასე რომ, ჩვენს ანსამბლს მეტად საპასუხისმგებლო გამოსვლები ელის საბერძნეთში, სადაც, სულ ცოტა, ერთ თვეს მაინც დავყოფთ. ათენს გავრდა, კიდევ შვიდ ქალაქში გავმართავთ კონცერტებს, რის შემდეგაც იტალიაში გავემგზავრებთან, სადაც ასევე ერთ თვეს დავრჩებით. ეს იქნება ჩვენი მოცეკვავეების რიგით მესამე გასტროლი ამ უძველესი კულტურის ქვეყანაში.

ვეცდებით, კვლავაც ღირსეულად წარვსდგეთ ბერძენი და იტალიელი მაყურებლის წინაშე.

ფიგნის თარო

„შუნიასარი“ ქართულ ენაზე

გამოიცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოსცა XIX საუკუნის ინდოელი პოეტის ბახტგარის პოემა „შუნიასარი“, რომელიც პინდურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ნიკოლოზ კენჭოშვილმა.

პოემა, რომელიც ეძღვნება ერთ-ერთი ბუდისტური სკოლის მოძღვრებას „შუნიატას“, უთუოდ დაიინტერესებს პოეზიისა და კერძოდ, ინდური ფილოსოფიური პოეზიის მოყვარულთ.

წიგნის რედაქტორია ი. პაპავა, მხატვარი — ხ. ფორჩხიძე.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ტრადიციების ერთგულება

თბილისელი მუსიკისმოყვარულნი ამ ცოტა ხნის წინათ ერთობ უჩვეულო მოვლენის მოწმენი გახდნენ: ერთ კონცერტზე შესრულდა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ალექსანდრე შავერზაშვილის ოთხი საფორტეპიანო ტრიო. უჩვეულოს იმიტომ ვამბობთ, რომ საფორტეპიანო ტრიოს ჟანრი, საზოგადოდ, ფრიად „დეფიციტური“ გახლავთ. აქ კი ერთი საღამოს მანძილზე მოვისმინეთ კომპოზიტორის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი ამ ჟანრის ოთხი ნაწარმოები: I ტრიო (1952), II (1968), III (1979) და, ბოლოს, ახლახან შექმნილი IV ტრიო, რომლის პრემიერაც სწორედ იმ საღამოს გაიმართა.

სამართლიანია მოსაზრება, რომ საფორტეპიანო ტრიოები ა. შავერზაშვილის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებშიც მკაფიოდ აისახა კომპოზიტორის შემოქმედებითი ევოლუცია და მხატვრული ხელწერის ტიპური ნიშნები.

მხატვრული და საზოგადოებრივი ინტერესების მრავალმხრივობა — ორი სიტყვით ამ ეპოქალურად დაგვეხასიათებინა ა. შავერზაშვილის შემოქმედებითი პიროვნება, ხოლო თუ შევეცდებოდით რამდენადმე გაგვეფართოოებინა ეს დახასიათება, აუცილებლად აღვნიშნავდით, რომ იგი ერთ-ერთი შემოქმედებითად აქტიური და ნაყოფიერი კომპოზიტორია, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საზოგადო მოღვაწე, რომელსაც წლების მანძილზე ეკავა და ამჟამადაც უკავია პასუხსაგები თანამდებობები საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში და ფილარმონიის სახელმწიფო კონსერვატორიაში (ამჟამად იგი პროორექტორია სამეცნიერო ნაწილში და კომპოზიციის კათედრის პროფესორი). 40 წელზე მეტი დაუთმო ა. შავერზაშვილმა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში, მე-3 სასწავლებელსა და თბილისის კონსერვატორიაში. მის კლასში სხვადასხვა დროს მეცადინეობდნენ ცნობილი კომპოზიტორები ვ. კვერნაძე, ვ. აზარაშვილი, ი. ბობოხიძე, ი. ბარდანაშვილი და სხვები.

გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის მოწაფე და მიმდევარი ა. შავერზაშვილი თავის შემოქმედებასა და პედაგოგიურ მუშაობაში ინარჩუნებს კლასიკური ხელოვნების დიდი ტრადიციებისადმი ერთგულებას, ემყარება ეროვნულ მუსიკალურ ტრადიციებს. თავისი მასწავლებლისაგან აითვისა მან ჭეშმარიტი პროფესიონალის ძვირფასი და აუცილებელი თვისება — მტკიცე შემოქმედებითი თვითდასაცავლინა.

ა. შავერზაშვილის საკომპოზიტორო დებიუტი ჯერ კიდევ 1940 წელს შედგა, ფართო აღიარება კი მას პირველად 1952 წელს ხვდა, პირველი საფორტეპიანო ტრიოს შესრულებას შემდეგ, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა დიდმა საბჭოთა კომპოზიტორმა დ. შოსტაკოვიჩმა: „ტრიოს მუსიკაში ჯარბად არის გრძნობები, ემოციურობა, დინამიკურობა, სიხალისე. ავტორს ნათელი შემოქმედებითი იდეავდუალობა და მომწიფებული ოსტატობა მოსდგამს“ — წერდა იგი. ტრიოს ოდნავადაც არ დაუკარგავს თავისი მხატვრული მიმზიდველობა და დღესაც ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშად რჩება ქართულ მუსიკაში. შემთხვევითი არ არის, რომ ნაწარმოები წარმატებით სრულდება მოსკოვსა და სსრ კავშირის სხვა ქალაქებში, აგრეთვე უცხოეთშიც.

50-60-იან წლებში ა. შავერზაშვილი არაერთგზის მიმართავს მუსიკალურ-თეატრალურ ჟანრებს. მისი ოპერა „მარინე“ იდგმებოდა თბილისში, შესრულდა მოსკოვში, წარმატება ხვდა ოპერა-ორატორიას „ოიდიპოს მეფეს“, ოპერეტა „ნინოს“, სისტემატურად მუშაობს კომპოზიტორი სიმფონიური მუსიკის ჟანრში: 2 სიმფონია, სამი პოემა, საფორტეპიანო და საგიოლინო კონცერტები, და ბოლოს, 1976 წელს შექმნილი დ. შოსტაკოვიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი კამერული სიმფონია. — კომპოზიტორის ეს საუკეთესო, ოსტატურად შესრულებული სიმფონიური პარტიტურა, რომელიც მსმენელს ატაცებს გულითადი ემოციურობით. (რამდენიმე წლის წინათ შავერზაშვილის კამერული სიმფონია მის კიდევ ერთ ცნობილ ნაწარმოებთან — მეორე საფორტეპიანო ტრიოსთან ერთად ჩაიწერეს გრამფირფიტაზე).

ნაყოფიერად მუშაობს კომპოზიტორი სასიმღერო ჟანრშიც. 1973 წელს სამხედრო-პატრიოტული თემაზე დაწერილი ვოკალური ციკლისათვის მას ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის ვერცხლის medali მიეკუთვნა.

დავუბრუნდეთ კომპოზიტორის ახალ ქმნილებას; მეოთხე ტრიო სამნაწილიანი ნაწარმოებია. მისი საერთო ხასიათი ლირიკულ-დრამატულია. ტრიოში ჩვენ კვლავ ვხვდებით კომპოზიტორის შემოქმედებისათვის დამახასიათებელ აკადემიურობას, ამ სიტყვის კარგი გაგებით, მტკიცე მუსიკალურ კონსტრუქციას, მკაფიო ხაზებს. ამავე დროს აქ საგრძნობლად გამძაფრებულია ინტონაციური ენა, რიტმიკა, გარეთულებულია კილო-პარმონიული სტრუქტურა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს თემატური დამუშავების ინტენსიურობა და პოლიფონიის დიდი როლი ნაწარმოებში. ფორმის ქმნადობის პრინციპს საფუძვლად უდევს მონოთემატიზმი. ტრიოს თითქმის ყველა თემა მომდინარეობს ვიოლინოს ერთ-ერთი საწყისი მოტივიდან, რომელშიც კომპოზიტორს გამოყენებული აქვს სვანური „ზარის“ ინტონაციები.

ტრიოს პირველი ნაწილი დრამატული დაძაბულობით გამოირჩევა. მისი მხატვრული იერსახის შექმნაში დიდ როლს ასრულებს ზარების რეკვის იმიტაციის ეფექტი (ფორტეპიანოს პარტიაში). მუსიკა ძირითადად ემყარება დიალოგიური განვითარების პრინციპს. დამუშავებითს ნაწილში, რომელიც შინაგანი ინტენსიურობით გამოირჩევა, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პოლიფონიური საწყისი. მძლავრ და მძაფრ კულმინაციას დამშეიდებისა და ხმოვნების მიყუჩების საკმაოდ ვრცელი ზონა მისდევს.

მეორე ნაწილი, რომელიც ლირიკულ-საოცნებო ხასიათისაა, მკაფიო კონტრასტს ქმნის დრამატულ პირველ ნაწილთან და მჩქეფარე ენერგიით აღსავსე ფინალთან, რომელშიც დროდადრო გაისმის პირველი ნაწილის ინტონაციები. ცენტრალური ადგილი ფინალში უკავია ვრცელ, ფრიად მასშტაბურ პოლიფონიურ ნაკვეთს — ორმაგ ფუგას, რომლის განვითარებას მივყავართ მთელი ნაწარმოების დინამიკურ კულმინაციასთან. ტრიოს დასკვნითი ეპიზოდი ერთგვარად შემაჯამებელი ხასიათისაა ინტონაციურ-თემატური და საერთო მხატვრული თვალსაზრისით. ნაწარმოები ნათელი, გასხვეოსნებული ზმოვანებით მთავრდება.

ა. შავერზაშვილის მეოთხე ტრიო კომპოზიტორის უტყუარი შემოქმედებითი მიღწევაა, მისი მაღალი პროფესიული კულტურის დადასტურებაა. იგი ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის უდავო შენაძენია და უეჭველად დამკვიდრდება კიდეც საკონცერტო რეპერტუარში.

იმ საღამოს კომპოზიტორის შესანიშნავ შემოქმედებითს თანამშრომლებად მოგვევლინა შემსრულებელთა ორი ჩინებული ანსამბლი: ნათელა კვირკველია, გიტერ კონიაევი, თამაზ გომელაური (I-II ტრიოებს შემსრულები) და გულნარა ქავთარაძე, ირინე იაშვილი, ელდარ ისაკაძე (III-IV ტრიოებს), რომლებმაც ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი, მაღალი სამშემსრულებლო კულტურა გამოამჟღავნეს და დიდად შეუწყვეს ხელი კონცერტის წარმატებას.

გ. ტორაძე.

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜᲡ თბილისში ხინკრონულ ცურვაში დამთავრებულმა საკავშირო ჩემპიონატმა დიდი ინტერესი გამოიწვია. „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ს. კილასიმ შეჯიბრების დროს რამდენიმე სურათი გადაიღო, რომლებსაც მკითხველს ვთავაზობთ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲔᲑᲖᲔ: მარჯვენივ (ზემოთ) — სსრ კავშირის ჩემპიონი მ. ჩერნიაევა; შუაში — საქართველოს ნაკრების წევრი ნ. პატარაია, რომელსაც ჩემპიონატის ყველაზე მომზიბლავი სპორტსმენისათვის დაწესებული პრიზი გადაეცა; მარცხნივ და მარჯვნივ (ქვემოთ) — სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

რესპუბლიკის გზებსა და ტრასებზე მოძრაობის სიჩქარე გარკვეულწილად შეზღუდულია. ეს იცის ყველა მძღოლმა, ამას შეგვახსენებს საგზაო ნიშნები და სპეციალური ფარები, მაგრამ თავზეხელაღებულთა ქცევა ზშირად მძიმე შედეგს იწვევს.

...დაიღუბა ჭაბუკი, მეათე კლასის მოსწავლე. იგი იმსწავლიდა აჭარის ასსრ რაიდამზადების გაერთიანების მძღოლმა სულიკო ართმელიძემ. ს. ართმელიძემ გაიჭროლა მასზე მიმაგრებული მაზ-51 მარკის ავტომობილი, ვეღარ დაამეხრუშა, ხულის რაიონის სოფელი დიოკნისი უკან მოიტოვა და ხრამში გადაიჩეხა. ჭაბუკი დაიღუპა, მეორე მგზავრი და თვითონ მძღოლი მძიმედ დაშავდნენ და საავადმყოფოში აღმოჩნდნენ, მანქანა დაიმსხვრა.

ასეთი ტრაგიკული შედეგი მოჰყვა კიდევ ერთი თავზეხელაღებულის დაუდევრობას, რომელიც სერიოზულად უნდა განიხილონ არა მხოლოდ აჭარის ასსრ რაიდამზადების გაერთიანებაში, არამედ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ავტომეურნეობაში. აჭარის ტერიტორიაზე ხომ მთის რთული გზებია?

ᲒᲐᲒᲠᲘᲡ შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ბზიფის განყოფილების მუშაკებმა დაიკავეს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის მცხოვრებები გოგი რეხვიაშვილი და შოთა ჩალაძე, რომლებმაც ქალაქ გაგრის ზონის სოფელ იფნარის საბავშვო ბაღში მოიპარეს 2 ათასი მანეთი ღირებულების ხალიჩები.

გოგი რეხვიაშვილი იყო გაგრის სახლთმაშენებელი კომბინატის საბინაო-კომუნალური განყოფილების მუშა, შოთა ჩალაძე — სოფელ ლიხნის კავშირგაბმულობის კვანძის მძღოლი. ალბათ, კოლექტივები, სადაც ეს „ხელმარჯვე“ ახალგაზრდები მუშაობდნენ, თავიანთ სიტყვას იტყვიან დანაშაულის გზაზე დამდგარი ახალგაზრდების შესახებ.

ᲚᲐᲠᲘᲡ ᲮᲝᲤᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ კარგად ესმის. რადიოსაქმე. ეს არც არის გასაკვირი. იგი უკანასკნელ ხანებამდე ხომ გუდაუთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ტელეტექნიკოსი მუშაობდა. სახელოსნოში მას ჰქონდა სათადარიგო ნაწილები და მუშაობისათვის საჭირო სხვა ყველაფერი. მაშ რაღად დასჭირდა ორი მაძლიერებელი, რომლებიც სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის რადიოკვანძიდან მოიპარა? ამას ახლა საგამოძიებო ორგანოები დაადგენენ.

როგორ მოხდა, რომ ოსტატი ქურდი აღმოჩნდა? ამაზე ალბათ დაფიქრდებიან გუდაუთის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელები.

Ძ. ᲒᲐᲚᲘᲡ მცხოვრები გენადი რუსინი წინათ ორჯერ იყო ნასამართლევი. უკანასკნელი სასჯელის მოხდის შემდეგ იგი შინ დაბრუნდა, თავისუფლებით ტკბებოდა და... უსაქმურად დაყაყალობდა. ოფიციალურმა ორგანოებმა რამდენჯერმე გააფრთხილეს, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაებიო, მაგრამ მუქთახორამ გაფრთხილება ყურად არ იღო. ამიტომ კანონით იგი მესამედ „დაბრძანეს“ განსასჯელის სკამზე!

(საქინფორმი).

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ცხენოსანთა შეჯიბრების პირველი ეტაპი (ცხენის გაწვრთნაში დასკვნითი ასპარეზობა კი გაიმართება აგვისტოს ბოლოს). საქართველოს სპორტსმენებმა მართლაც რომ შესანიშნავად იასპარეზეს. მაგალითად, დაბრკოლებათა გადალახვაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა 162,5 საჯარიმო ქულით მეექვსე ადგილი დაიკავა (ხ. სიმონია, თ. ჯღარაკავა, ზ. დუნდუა და ბ. მარკოზაშვილი). შეგახსენებთ, ამ სახეობაში პირველობა ლიტველებს დარჩათ — 44 ქულა. საქართველოს სამჭიდელებმა (ო. ჯაფარიძე, ვ. ტუაევი, ო. ნარმანია, ა. სამელიანი) კი მოსალოდნელს გადააჭარბეს, ისინი გუნდურ ასპარეზობაში ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ—512,8 საჯარიმო ქულა. ამ სახეობაში პირველობა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა მოიპოვა —381. მესამე-მეხუთე ადგილები (დანარჩენ გუნდებს ჩათვლა არ მიუღიათ) გაინაწილეს მოლდავეთის (542,1), ყირგიზეთის (720,2) და ესტონეთის (1092 ქულა) ცხენოსნებმა. პირად ასპარეზობაში სამივე სპორნი ადგილი მოსკოველებს დარჩათ — ბ. გორჩაკოვს (87,2 ქულა), ვ. ტიშკინს (88,25) და ა. გრიშინს (97,7). გუშინ ცხენოსანთა სასპარტაკიადო შეჯიბრების პირველი ეტაპი დამთავრდა. ამჟერად ცხენოსნებმა დაბრკოლებათა გადალახვაში პირადი პირველობა გაითამაშეს. თავი ისახელა ხარლამ სიმონიამ, რომელიც ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ლიტველმა ზ. ზარკამ პირველი ადგილი მოიპოვა, მოსკოველმა ბ. კუზმინმა — მეორე.

ᲚᲕᲘᲕᲨᲘ დასრულდა მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდური შეჯიბრება, მაგრამ დებულების თანახმად გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებულს სსრ კავშირის ჩემპიონთა წოდება მიენიჭათ. სპარტაკიადის ჩემპიონთა ვინაობა გაირკვევა მხოლოდ მაშინდეგ, როცა პირადი პირველობა გთამაშდება და გუნდურ და პირად ასპარეზობაში დაგროვილი ქულები დაჯამდება. რაც შეეხება გუნდურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებას, ქალთა შორის სომხეთის ნაკრები დაეუფლა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები, მესამეზე — უკრაინელები. ვაჟთა შორის სპარიზო სამეულში გუნდები ასე განაწილდნენ: 1. რსფსრ, 2. უკრაინა, 3. ბელორუსია. საქართველოს ვაჟთა გუნდი მეთორმეტე ადგილზე გამოვიდა, ქალთა კოლექტივი კი მეთექვსმეტეზე.

მოსკოვში სასპარტაკიადო შეჯიბრებები ჩაებნენ თანამედროვე ზუთჯიდის ოსტატები, ხოლო უკრაინის გზებზე მრავალდღიან ველორბოლას მიეცა სტარტი.

საფეხბურთო ემრიდიანზე

ᲑᲣᲨᲘᲜ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურის რვა შეხვედრა. გთავაზობთ შედეგებს: კიევის „დინამო“-„ნეფტჩი“ — 0:0, მინსკის „დინამო“-„სპარტაკი“ — 3:2, „შახტიორი“-„ჩერნომორეცი“ — 2:0, „დნეპრი“-„ნისტრუ“ — 6:0, მოსკოვის „ტორპედო“-„ზენიტი“ — 0:2, „ალგირისი“-მოსკოვის „დინამო“ — 1:0, „მეტალისტი“- თბილისის „დინამო“ — 4:3, ქუთაისის „ტორპედო“-„არარატი“ — 0:0. დღეს პირველი წრის ბოლო მატჩი გაიმართება. ცსკა მასპინძლობს „ფახთაქორს“.

„მეტალისტისა“ და თბილისის „დინამოს“ ერთობ დაძაბულ მატჩში ბურთები ასეთი თანმიმდევრობით გაიტანეს ფეხბურთელებმა: შენგელიამ (32-ე წუთზე), კამარზაევმა (45-ე), მოტუზმა (54-ე), ტარასოვმა (70-ე), გოგრიჭიანმა (74-ე), შენგელიამ (81-ე) და ლინკემ (88-ე წუთზე). რაც შეეხებათ ქუთაისელებს, მათ „არარატთან“ შეხვედრა საგრძნობი უპირატესობით წარმართეს, ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა და პენალტის დარტყმის უფლებაც მიიღეს, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხეს მეტოქეთა კარის აღება.

უკანასკნელ საათს

კანადის ქალაქ ედმონტონში მიმდინარე მსოფლიო უნივერსიადაზე თბილისელმა ირინე გერასიმოვამ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ოქროს მედლის მოპოვების შემდეგ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ბრინჯაოს მედალი მიიღო. შემდეგ კი იგი ესტაფეტაში თანაგუნდელებთან ერთად ოქროს მედლის დაეუფლა.

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 8 ივლისს

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს 1983-1984 სასწავლო წლისათვის მილდებას დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე

დღის განყოფილება

ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

სპეციალობანი: **აფხაზური ენა და ლიტერატურა; ქართული ენა და ლიტერატურა; რუსული ენა და ლიტერატურა; რომანულ-გერმანული ენები და ლიტერატურა:** ინგლისური ენა და ლიტერატურა — აფხაზური სექტორი, გერმანული ენა და ლიტერატურა — ქართული სექტორი.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ-ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

სპეციალობანი: **სამართალმცოდნეობა** (აფხაზური ქართული და რუსული სექტორები); **ისტორია** (აფხაზური და ქართული სექტორები).

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

სპეციალობანი: **სახალხო მეურნეობის დაგეგმვა** (ქართული სექტორი); **ვაჭრობის ეკონომიკა** (აფხაზური და ქართული სექტორები); **სახუფალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი** (აფხაზური და ქართული სექტორები).

ᲤᲘᲖᲘᲙᲐ-ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

სპეციალობანი: **მათემატიკა** (ქართული და რუსული სექტორები); **ფიზიკა** (აფხაზური და ქართული სექტორები); **ზოგადტექნიკური საგნები და ფიზიკა** (რუსული სექტორი).

ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ-ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

სპეციალობანი: **ბიოლოგია** (აფხაზური და რუსული სექტორები); **გეოგრაფია** (ქართული სექტორი).

ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

სპეციალობანი: **დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა** (აფხაზური და რუსული სექტორები); **პედაგოგიკა და ფსიქოლოგია** (სკოლამდელი რუსული სექტორი); **ფიზიკური აღზრდა** (რუსული სექტორი).

საღამოს განყოფილება

ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

სპეციალობანი: **ქართული ენა და ლიტერატურა; რუსული ენა და ლიტერატურა.**

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ-ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

სპეციალობანი: **ისტორია** (რუსული სექტორი).

ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ-ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

სპეციალობანი: **გეოგრაფია** (ქართული სექტორი).

ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ.

სპეციალობანი: **დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა** (ქართული სექტორი).

შესასვლელი გამოცდები გაიმართება შემდეგ საგნებში:

სპეციალობებზე — **აფხაზური ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, სამართალმცოდნეობა და ისტორია** — შუბლიანი ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

სპეციალობებზე: **რომანულ-გერმანული ენები და ლიტერატურა)** (გერმანული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ლიტერატურა) — შესაბამის უცხო ენაში (ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), შუბლიანი ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი).

სპეციალობებზე: **სახალხ